ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კასპში, პოლიციის თანამშრომლისა და მისი ოჯახის მიმართ ჩადენილი ჯგუფური ძალადობის ფაქტზე დაკავებულებს პატიმრობა შეეფარდათ


გვ.5

ხუთშაბათი, 20 ივლისი, 2023 №141 (9177) ფასი: 80 თეთრი

# „ივანიშვილი ქვეყანას ისე აზიანებს, რომ თვითონაც დაზიანდება“


გვ.2

ლელა ჯეჯელავა: „როდესაც შენი ლობისტია სიმონიანი ან ზახაროვა, არა მგონია, გქონდეს უფლება, ვინმეს ლობირებაზე ილაპარაკო“




გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: არც „ოცნებას“ და არც ნაციონალურ მოძრაობას არ აწყობს 5-პროცენტიანი ბარიერის დაწევა

# „ნაციონალები „ოცნებას“ ვერ დაამარცხებენ“


გვ.3

## ოპოზიციიდან ზოგი რუსეთის აგენტია, ზოგი კი თავისი უსინდისო ქმედებებით რუსეთის საქმეს აკეთებს

ანზორ აბრალავა: „მმართველი პარტიის რეიტინგი იკლებს, მაგრამ მას პერსპექტივა რჩება“

## „სააკაშვილის გათავისუფლება რადიკალიზმის ხარისხს გაზრდის“

დათო ლორთქიფანიძე: „პრემიერმინისტრობის კანდიდატი რომ დაასახელო, პარლამენტში უმრავლესობა უნდა გყავდეს. ნაცმოძრაობა ვერანაირი კრიტერიუმით უმრავლესობის ამღები ვერ არის“


გვ.4

## ირაკლი ღარიბაშვილი: „არავის მადლიერებას არ ვითხოვთ, მაგრამ ეს არის მეგობრობის, დიპლომატიის, ეტიკეტის დარღვევა“


გვ.2 გვ.3

## პრემიერი: „ყოფილი პრეზიდენტი, სიმულიანტი კაცი, მილიონებს ხარჯავს მთელ მსოფლიოში, რომ ჩვენი სახელმწიფოს იმიჯი დაზიანდეს“


გვ.4

## „კეზერაშვილმა გაძარცვა ჯარი და ატერორებდა ბიზნესს“


გვ.5

## ვინ არის და რას ედავებიან ქართველ კანონიერ ქურდს გურამ ჩიხლაძეს


გვ.7

## კვარაცხელიამ სამედიცინო შემოწმება გაიარა და დღეს „ნაპოლისთან“ ერთად ვარჯიშს იწყებს

1993230720223

4 მამუკა მდინარაძე: „5%-იანი საარჩევნო ბარიერის დაწევის საკითხი დღის წესრიგში არ დგას“

5 სასტუმრო „ოაზისის“ ადვოკატი: „აუზზე, სადაც 5 წლამდე ბავშვი დაიხრჩო, ყველა რეგულაცია დაცული იყო“

6 მომავალ კვირას ტრამპს კვლავ სასამართლოში დაიბარებენ

6 მიმიფურთხება რუსეთისათვის!

# „ივანიშვილი ქვეყანას ისე აზიანებს, რომ თვითონაც დაზიანდება“

ნონა ცაბაძე

## ლელა ჯეჯელავა: „როდესაც შენი ლობისტია სიმონიანი ან ზახაროვა, არა მგონია, გქონდეს უფლება, ვინმეს ლობირებაზე ილაპარაკო“

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.

***– ქალბატონო ლელა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს? ვისმენთ შეფასებებს, რომ „ქართული ოცნება“ მაქსიმალურად ცდილობს, ქვეყანაში იყოს უძრაობის ხანა და ითრევს ქვეყანას ჭაობში. სად ხედავთ გამოსავალს, რამდენად დიდია ასეთ სიტუაციაში საზოგადოების და ოპოზიციის როლი? რა არის გასაკეთებელი?***

– თუ საზოგადოება ან ოპოზიცია იმას ელის, რომ ხელისუფლება თავად იტყვის, მე რალაც არასწორად გავაკეთე, ქვეყანა დავაზიანე და ახლა უნდა წავიდე მეგობრებოო, ასე არ მოხდება. ყველამ უნდა გაიაზროს ის მომენტი, რომ ოპოზიციაა თუ საზოგადოების წარმომადგენელი, როცა ქვეყანა დაზიანდება, მის წილ პასუხისმგებლობას ვერავინ ვერ აიცილებს. შესაბამისად, მე მაინც მგონია, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, არაპოლიტიკურმა სპექტრმა ვიმოქმედოთ, რადგან ეს მოცემულობაა, ვიცით, ხელისუფლება რაც გვყავს, ოპოზიციაც ვიცით, როგორი და რა შესაძლებლობების მქონეა.

ის პოლიტიკური სპექტრი, ვგულისხმობ ოპოზიციას, რომელიც მზად იქნება, რომ მოემსახუროს საზოგადოების დაკვეთას, რასაკვირველია, სწორედ მას ექნება წარმატება არჩევნებში. ეს პოლიტიკოსები, არ არიან ღვთის რჩეულები, არიან ჩვენი არჩეულები და რატომ ვირჩევთ, ვის ვირჩევთ და რისთვის ვირჩევთ, ეს ზუსტად უნდა ვიცოდეთ. ჩვენ რა გვინდა მათგან და რას ველით, ეს თუ არ გაიაზრა საზოგადოებამ, ისე ძალიან ძნელი იქნება, რომ ჩვენ ამ ვითარებას თავი დავაღწიოთ.

***– გამუდმებით გვესმის საუბარი ოპოზიციურ ერთობაზე. ასევე აქტიურად განიხილებოდა სააკაშვილი პრემიერობის კანდიდატად. თუმცა ვნახეთ, როგორ დაზიანდა ეს პროცესი პოლონელ ექიმებთან მომხდარი ინციდენტის გამო. ვისმენთ იუსტიციის მინისტრის შეფასებას, რომ გამორიცხულია სააკაშვილთან პოლონელი ექიმების შესვლა, სანამ ყველა კითხვას სრულყოფილი პასუხი არ გაეცემა. ეს არის პროცესის მიზანმიმართული***



***დაზიანება თუ მათაც სერიოზულად ეშლებათ?***

– ეს იმდენად ბუნდოვანი ფაქტი იყო, მართალი გითხრათ, ვერავინ ვერაფერი ვერ გავიგეთ. არც ხელისუფლება ამბობს ბოლომდე, რა მოხდა, არც იმ ექიმის განმარტებები მოგვისმენია. მხოლოდ ხელისუფლებას უნდა ვენდოთ და მის ინტერპრეტაციებს. ამიტომ მე ჯერ არ ვიცი, რა დააზიანა და როგორ დააზიანა. როდესაც დანაშაული ხდება, ძალიან მნიშვნელოვანია მოტივი. ვის რა მოტივაცია აქვს. არა მგონია, რომ მესამე პრეზიდენტის მიზანი ყოფილიყო მის თავისუფლებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პროცესის დისკრედიტაცია ამ ფორმით მოეხდინა. არც ისე გულუბრყვილო მგონია მესამე პრეზიდენტი, არ სცოდნოდა, რომ მის გარშემო იქ ყველაფერი კონტროლდება. ჯერჯერობით, ვინც ცდილობს, რომ ამ ფაქტის გამო იპოვოს ხეირი, ეს არის მხოლოდ „ქართული ოცნება“. ძალიან მკაფიოდ ჩანს მისი დაინტერესება, რომ ეს ფაქტი გამოყენებული იქნას. თუმცა სანამ ჩვენ უფრო მეტი არ გვეცოდინება, სანამ პოლონელი ექიმების ჯგუფი არ გააკეთებს განცხადებას, რა მოხდა და რატომ მოხდა, „ოცნების“ ნაადრევ სიხარულს ნამდვილად ვერ გავიზიარებ, ვერც მათ ალტკინებას იმ ფაქტით, რომ ექიმს გრძელი წინდა ალმოაჩნდა და ყველაფერს იმ გრძელ წინდაში ინახავს. ძალიან ბუნდოვანია პროცესი, არ ვიცით, სინამდვილეში რა მოხდა და ამიტომ ეს ყველაფერი ვის და როგორ დააზიანებს, ამაზე ნაადრევია საუბარი.

***– რას იტყვით ამერიკელი ლობისტების სკანდალზე? ის რაც ეხება სააკაშვილს, ეხება ნაციონალურ მოძრაობას, რადგან სააკაშვილის სახელი სწორედ ამ პარტიასთან არის გაიგივებული. რამდენად ზიანდება ამით მთლიანად ოპოზიცია?***

– რა თქმა უნდა, სააკაშვილის სახელი უკავშირდება ნაციონალურ მოძრაობას. სხვაგვარად, როგორ? ეს ადამიანი იყო ნაციონალური მოძრაობის დამფუძნებელი, იყო ამ ქვეყნის პრეზიდენტი ორ გზის. ნაციონალური მოძრაობის ელექტორატის დიდი ნაწილი, სწორედ სააკაშვილისაა, ეს ყველამ იცის და დამალული არავისთვის არ არის. რაც შეეხება ამერიკელი ლობისტებით დაზიანებას, მე მგონია, რომ ზახაროვას, სიმონიანის და ლავროვის ლობისტობას, ამერიკელი ლობისტები ჯობია. ჩემი აზრი ასეთია და შეიძლება სხვას სხვაგვარი მოსაზრება აქვს.

როდესაც შენი ლობისტია სიმონიანი ან ზახაროვა, არა მგონია, გქონდეს უფლება, ვინმეს ლობირებაზე ილაპარაკო. ამიტომ ნებისმიერი საკითხი, რომელსაც „ოცნება“ წინ წამოწევს და მერე დიდი ენთუზიაზმით ცდილობს ამის პროპაგანდირებას, საშუალო სტატისტიკურმა გონიერმა ქართველმა, შეიძლება, ეს შეაბრუნოს „ოცნების“ ხელისუფლების წინააღმდეგ და ხელისუფლებას პიარის ნაცვლად, გამოუვიდეს შარი.

***– ქალბატონო ლელა, ვისმენთ შეფასებებს, რომ ხელისუფლება უკვე წინასაარჩევნო რეჟიმშია გადასული. ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ არჩევნები გააყალბოს. თავის მხრივ რას ცდილობს ბიძინა ივანიშვილი? რამდენად მომგებიანი იქნება მისთვის ამ იმიჯშელახული გუნდით 2024-ის არჩევნებზე ასპარეზობა? ასევე, შესასრულებელია 12-პუნქტიანი გეგმა, მივიღებთ თუ არა სტატუსს, ესეც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ არის. რა მოლოდინები გაქვთ?***

– თქვენ როგორ ფიქრობთ ახლა, ქვეყანას, რომელსაც ევროპული ქვეყნების დედაქალაქი ბრიუსელი, იღებს უსაფრთხო ქვეყნების სიიდან და რომლის ხელისუფლებასაც, ევროპარლამენტარები ბანდას უწოდებენ, რა პერსპექტივა აქვს ასეთ ქვეყანას ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების?! მოდით, თავს ნუ მოვიტყუებთ. რამდენიც არ უნდა გაგვყონ ხალხი და ხელისუფლება. ცხადია, ამას ასე ყოფენ, ამის მიუხედავად, ხალხი, რომელიც ამ ბანდას იტანს ხელისუფლების სათავეში, ის არ იმსახურებს ევროპულ ქვეყანაში ცხოვრებას. ახლა 12 პუნქტზე და კიდევ რალაც პირობების შესრულებაზე, მე საერთოდ უადგილოდ მეჩვენება საუბარი. ეს არის წყლის ნაყვა.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ არანაირი ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი დიდი ალბათობით, იმ პროცესების შემდეგ, რაც ახლა განვითარდა, არ გვექნება. ხალხი, რომელსაც არა ხელისუფლება, არამედ ბანდა მართავს, ის ევროკავშირში შესვლას არ იმსახურებს. ეს არ არის სადავო საკითხი.

ახლა, რას ფიქრობს ბიძინა ივანიშვილი, ეს რომ გამოიცნო, მაშინ ის გამოცდილება უნდა გქონდეს, რაც მას აქვს, რადგან მისი ნაბიჯების შეფასება პოლიტიკური მიზანშეწონილობის კუთხიდან არის სრულიად შეუძლებელი. ახლა მისი მაფიოზური მატრიცა რას უკარნახებს ამ ვითარებაში, ჩემთვის ცოტა რთული გამოსაცნობია. ის რომ იყოს პოლიტიკოსი, მე გეტყოდით, რომ პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ასე და ასე უნდა მოიქცეს. რადგან ის თვითგადარჩენის ინსტინქტებით მოქმედებს მთელი ცხოვრება და საკმაოდ ალღოიანი ადამიანია ამ თვალსაზრისით, მე მაინც მგონია, ბოლომდე შეეცდება, ყველა გზა მონახოს იმისთვის, რომ თავი გადაირჩინოს. თუმცა, რაც დრო გადის და რაც მეტად აზიანებს ქვეყანას, მით ნაკლები შანსი აქვს, რომ თვითონ დაზიანების გარეშე გადარჩეს.

***– თქვენ ბრძანეთ, რომ კანდიდატის სტატუსს არ მოგვცემენ. ეს რამდენად შეიძლება გახდეს საზოგადოების გამოფხიზლების საფუძველი?***

– რასაკვირველია, ეს იქნება სერიოზული ტესტი ჩვენი საზოგადოებისთვის, თუ რას ვიმსახურებთ. ვიმსახურებთ იმ ხელისუფლებას, რომელიც გვყავს, ანუ ბანდას ქვეყნის სათავეში, თუ ვიმსახურებთ, ვიყოთ ევროპული ქვეყანა, ევროპული კეთილდღეობით და დემოკრატიით? ეს იქნება ტესტი ჩვენთვის. მივიღებთ იმას, რასაც დავიმსახურებთ.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „არავის მადლიერებას არ ვითხოვთ, მაგრამ ეს არის მეგობრობის, დიპლომატიის, ეტიკეტის დარღვევა“

– არავის მადლიერებას არ ვითხოვთ, მაგრამ ეს არის მეგობრობის, დიპლომატიის, ეტიკეტის დარღვევა, როცა კიევი იბომბებოდა, ჩვენი ელჩი ბოლო ელჩი იყო, რომელიც ბოლო წუთამდე დარჩა კიევში, ასეთი კაცი გამოაგზავნეს ვითომ „კონსულტაციისთვის“ თბილისში, – ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ომის დაწყების შემდეგ, ერთადერთი ქვეყანა, საიდანაც ელჩი გაიწვიეს, საქართველო იყო და უკრაინას დღემდე ჰყავს ელჩი იმ ქვეყანაში, საიდანაც ხდებოდა რუსეთის თავდასხმები.

– ვიცი, რომ შარშან უკრაინა იყო ერთ-ერთი დაინტერესებული, რომ ჩვენ არ მიგვეღო კანდიდატის სტატუსი, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ეს ბევრმა ჩვენმა ევროპელმა ლიდერმა დაადასტურა.

– სიტყვა „მეორე ფრონტი“ უკრაინის მაღალჩინოსნებისგან მომდინარეობს, უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა თქვა პრესკონფერენციაზე, რომ მათი ინტერესი იყო მეორე ფრონტის გახსნა საქართველოსა და მოლდოვაში. ეს მე ხომ არ მოვიგონე?! მათ თქვეს! – განაცხადა პრემიერმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, უკრაინელი მაღალჩინოსნები ღიად ამბობდნენ, რომ დღევანდელი ხელისუფლება არ არის ომის მთავრობა და სააკაშვილი რომ ყოფილიყო ხელისუფლებაში, იგი აუცილებლად ომს დაიწყებდა რუსეთის წინააღმდეგ.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მთავარი ორგანო, ვინც სააკაშვილის საქმეზე საქართველოს ხელისუფლების სიმართლე დაადგინა, სტრასბურის სასამართლოა და არა სააკაშვილის მიერ კორუმპირებული, მოსყიდული ევროპარლამენტარები თუ უკრაინის რადას წევრები.

– პოლონელი ექიმების თემაზე მინდა გავაკეთო კიდევ ერთხელ კომენტარი. ეს ჩვენგან იყო ერთგვარი ჟესტი და იმის დადასტურება, რომ ჩვენ ერთგულნი ვართ ჩვენ მიერ გაცხადებული დაპირებისა, ნებისმიერი განცხადებისა თუ სიტყვისა. ჩვენ სიტყვას ვიცავთ, სხვებისაგან განსხვავებით. ჩვენი გაცხადება, შეთავაზება იყო შემდეგი, რომ ჩვენ არ ვიქნებოდით და არ ვიქნებით წინააღმდეგი, რომ სააკაშვილის ოჯახმა ჩამოიყვანოს ნებისმიერი ექიმი, ნებისმიერი კლინიკიდან, ადგილზე სამკურნალოდ, ხაზგასმით მინდა ვთქვა.



ჩვენ რაც ვიხილეთ ახლა, ეს არც ადგილზე მკურნალობა იყო, არც ამისი მცდელობა იყო, საერთოდ, გაუგებარი მოქმედება ჩაატარეს პოლონელმა ექიმებმა. მანამდე ძალიან ბევრი დეზინფორმაცია გავრცელდა, თქვეს, რომ კონფიდენციალური იყო, შემდეგ თავად გაავრცელეს ინფორმაცია. სამარცხვინო ფაქტი მოხდა, მალულად, ჩუმად გამოიტანეს ნიმუშები, რომელიც მათ აიღეს პატიმარი სააკაშვილისგან. ეს ძალიან ბევრ კითხვას აჩენს.

ვიმეორებ, რომ ჩვენი შეთავაზება ძალაში რჩება ოჯახის მიმართ, ოჯახის მიმართ ხაზს ვუსვამ, რომ ადგილზე ჩამოიყვანონ, თუ მაინცდამაინც უნდათ მკურნალობა, უმკურნალონ, რაც უნდათ, ის გაუკეთონ, – განაცხადა პრემიერმა.

მე მინდა მივუსამძიმრო ჩვენს მოქალაქეებს, ჩვენი გმირების ნეშტების გადმოსვენება. მოგეხსენებათ, 4 სამხედრო პირია აქედან, 9 არის სამოქალაქო პირი, რომლებიც გმირულად დაიღუპნენ ჩვენს ომში, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სამების საკათედრო ტაძარში განაცხადა, სადაც მთავრობის წევრებთან ერთად ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან გადმოსვენებული პირების სამოქალაქო პანაშვიდს დაესწრო.

მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ნეშტების გადმოსვენების პროცესში მიიღო მონაწილეობა.

– ეს, რა თქმა უნდა, დიდი ტრაგედიაა. მეორე მხრივ, მე მინდა აღვნიშნო, რომ სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჩვენი გმირების ნეშტები გადმოვასვენოთ დროულად. ამ პროცესში, მოგეხსენებათ, ჩართული არის როგორც სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ასევე ჩართულია წითელი ჯვარი, ჩვენი პარტნიორები გვეხმარებიან ამ პროცესში, ამიტომ მინდა ყველას მადლობა გადავუხადო, ვინც ამ პროცესში მიიღო მონაწილეობა. კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ ჩვენი გარდაცვლილი გმირების ოჯახებს და ქედს ვიხრი მათი ნათელი ხსოვნის წინაშე, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ერთობლივი თანამშრომლობით, ორმხრივი, ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში, ამჯერად 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებების დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული 13 იდენტიფიცირებული პირის გადმოსვენება მოხერხდა, მათგან 4 სამხედრო და 9 მშვიდობიანი მოქალაქეა.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მურაზ ლეჟავაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ოპოზიციიდან ზოგი რუსეთის აგენტია, ზოგი კი თავისი უსინდისო ქმედებებით რუსეთის საქმეს აკეთებს

## ანზორ აბრალავა: „მმართველი პარტიის რეიტინგი იკლებს, მაგრამ მას პერსპექტივა რჩება“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ანალიტიკოსს, ყოფილ დეპუტატს, ანზორ აბრალავას.**

***– წინა წლებში არაერთხელ გითქვამთ, რომ საქართველოში პოლიტიკური ველი ფაქტობრივად ცარიელია. რას იტყვით ახლა, როცა არჩევნებამდე წელიწადზე მეტია დარჩენილი, ოპოზიციური პარტიები კი მუშაობენ „ქართული ოცნების“ დამარცხების ერთობლივ გეგმებზე, ზოგ შემთხვევაში – გაერთიანებაზეც?***

– ამას მართლაც ვამბობდი. სერიოზული პოლიტიკური პარტიები და მოძრაობები არც მაშინ იყვნენ და არც ახლა გამოჩენილან, აქტიურობენ ისინი, ვინც მანამდეც აქტიური იყო და ვითომ პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობდა. უბედურება ისაა, რომ არ შეცვლილა აგრესიული ძალების გეგმები. მათი განზრახვაა ხელისუფლებაში ნებისმიერი გზით მოსვლა. ყველამ იცის, რომელ პარტიაზე ვლაპარაკობ და ვის აქვს ე. წ. რევოლუციური გამოცდილება.

***– იქნებ ამ ძალებს არჩევნების გზითაც აქვთ ხელისუფლებაში მოსვლის იმედი? მმართველი პარტიის რეიტინგი თანდათან იკლებს, ოპოზიცია კი ძალების გაერთიანებას აპირებს?***

– ოპოზიცია ლაპარაკობს გაერთიანებაზე, მაგრამ ეს გაერთიანება ძალიან პირობითია. დავაკვირდეთ, ძირითადად ვინ უერთდება ერთმანეთს, ეს არიან ჯგუფები, რომლებიც ადრე გამოეყვნენ ნაციონალურ მოძრაობას. ისინი ჯერ ერთ პარტიაში იყვნენ, მერე დაიშალნენ, მოგვიანებით ისევ ერთდებიან. „მატრიოშკასავით“ იშლებიან და ეწყობიან ერთმანეთს. სამწუხარო ისიცაა, რომ აგრესიულ ძალებს, ნაციონალურ მოძრაობას და მის გარემოცვას, ჰყავთ წამქეზებლები და მხარდამჭერები. პირველ რიგში, უკრაინაში, პოლონეთში, ასევე არსებობენ სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის ლობისტები ევროკავშირში. ნაციონალურ მოძრაობას გვერდით ჰყავს ზოგიერთი ქართველი ექსპერტი. ეს ვაიექსპერტები ლაპარაკობენ იმაზე, რომ მალე მოხდება უნგრეთის ხელისუფლების დამხობა. ამათ საქართველოშიც იგივე უნდათ. წლების წინაც უნდოდათ, მაგრამ ხალხი ვერ აიყოლიეს.




***– არჩევნების საკითხს დავუბრუნდეთ. ხომ შეიძლება ვინმემ „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში აჯობოს? ეს პარტია 2012 წლიდანაა ხელისუფლებაში.***

– გავიმეორებ, რომ პოლიტიკური ველი ცარიელია. ეს ოპოზიციური აგრესიული ძალები, რომლებიც ქვეყანას მტრობენ და ქვეყნის ცუდი ახარებთ, პოლიტიკურ პარტიებად ვერ ჩაითვლებიან. „ქართული ოცნების“ რეიტინგი იცვლება, მაგრამ მისი შემცვლელი არ არსებობს. კარგი იქნებოდა, რომ პოლიტიკაში მოვიდეს საზოგადოებრივი ძალა თავისი სწორი სახელმწიფოებრივი შეხედულებებით, კონსტრუქციულობითა და პროგრამებით.

***– შესაძლებელია ასეთი ძალის შექმნა?***

– ეს ძალიან გართულებულია პოლიტიკის კაპიტალიზაციის გამო. საქართველოში პოლიტიკა დაუკავშირდა დიდ ფულს. ამიტომ საზოგადოებას გააქტიურებისათვის სჭირდება რესურსები. ახალი სახეები კარგია, მაგრამ მარტო ახალი სახეები არ სჭირდება პოლიტიკას. ქართულ პოლიტიკას ჰაერივით ესაჭიროება სწორი ახალი იდეები, პატიოსანი მიდგომა, სახელმწიფოებრივი აზროვნება.

***– წინათ ლამის მთელი ოპოზიცია ნაციონალური მოძრაობის გარშემო შეკრებას ცდილობდა. ახლა არაერთი ორგანიზაცია კატეგორიულად აცხადებს, რომ ნაცმოძრაობასთან ახლო თანამშრომლობა არ ექნება. მაგალითად, „ლელო“ და სხვები. ამას რას მიაწერთ?***

– ზოგიერთ პარტიას, მართლაც, არ უნდა ნაცმოძრაობასთან ყოფნა. ეს, ჯერ ერთი, იმის ბრალია, რომ პარტიები გავლენებს ვერ იყოფენ. მეორეც, სხვები ხედავენ, რომ ნაციონალურ მოძრაობას პერსპექტივა არა აქვს. მისი შესაძლებლობები ილევა.

ამასთან, დანარჩენ პარტიებთან შედარებით, ნაციონალურ მოძრაობას მეტი მხარდამჭერი ჰყავს. ამ პარტიებიდან ყველაზე მეტი პროცენტის ალება ისევ და ისევ ნაციონალურ მოძრაობას შეუძლია. ნაცმოს, თავის მხრივ, არ სურს, რომ ვინმე აიკიდოს და ხურჯინივით პარლამენტში გაიყვანოს. აი, ეს მდგომარეობაა.

***– გავრცელებული ინფორმაციით „სტრატეგია აღმაშენებელი“ ნაცებთან ერთადაა.***

– ისინი ყოველთვის ერთად იყვნენ. მერე რა, რომ გიორგი ვაშაძე ნაციონალურ მოძრაობას გამოეყო. „მატრიოშკის“ პრინციპი მოქმედებს. ვაშაძე ვინმეს კი არ უერთდება, ის თავის წიაღს დაუბრუნდა. ოპოზიცია უსუსტესი და დისკრედიტირებულია. ნიკა გვარამიასგან ცდილობენ პოლიტიკური ლიდერის შექმნას. აქედან არაფერი გამოვა. ლიდერები ასე არ იქმნებიან. ამ სიტუაციაში „ქართულ ოცნებას“ ისევ რჩება პერსპექტივა.

***– ისე ხომ არ მოხდება, რომ მომავალ კოალიციურ ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა იქნებიან?***

– არა მგონია. ჩემი აზრით, „ქართულმა ოცნებამ“ კოალიცია უნდა შექმნას საზოგადოებასთან. მან უნდა ითანამშრომლოს საზოგადოების ცალკეულ წევრებთან, ჯგუფებთან. უნდა გაეცნოს მათ შეხედულებებს, იდეებს, მიიზიდოს საზოგადოების წარმომადგენლები.

***– ბელგიამ საქართველო ამოიღო უსაფრთხო ქვეყნების სიიდან. კომენტატორები ვარაუდობენ, რომ ეს მოხდა ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუარესების გამო. თქვენ რას იტყვით?***

– ადამიანის უფლებები არაფერ შუაშია. რა მდგომარეობაც ადრე იყო, იგივეა. ეს არის ანტისახელმწიფოებრივი აგრესიული ოპოზიციის მავნებლობის შედეგი. ისინი ვნებენ საკუთარ ქვეყანას დ მუშაობენ მის წინააღმდეგ ევროპაში. ამით კრემლის საქმეს აკეთებენ.

ამ ოპოზიციიდან ზოგი რუსეთის გავლენის აგენტია, ზოგი კი უნებლიეთ აკეთებს რუსეთის საქმეს. საქართველოს უკუსვლა და დაზიანება სწორედ რუსეთს აძლევს ხელს.

# „ნაციონალები „ოცნებას“ ვერ დაამარცხებენ“

## არც „ოცნებას“ და არც ნაციონალურ მოძრაობას არ აწყობს 5-პროცენტიანი ბარიერის დაწევა

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ ნაციონალური მოძრაობის ბაზაზე გაკეთდება მთავარი გამარჯვების ცენტრი. რამდენად შეძლებს ასეთი ცენტრი ხელისუფლების არჩევნებში დამარცხებას?***

– გამორიცხულია. წარმოუდგენელია ნაციონალური მოძრაობის ბაზაზე შეიქმნას ისეთი მძლავრი ძალა, რომელიც „ქართულ ოცნებას“ დაამარცხებს. ეს დაადასტურა ყველა არჩევნებმა და ყველა სოციოლოგიურმა კვლევამ, რაც დღემდე ჩატარებულა. ეს მრავალჯერ დათვლილი და გამოცდილი ფაქტია.

მაშ რა არის გამოსავალი?! გამოსავალი არის მესამე ცენტრის შექმნა. მესამე ალტერნატივის შექმნით ორპოლუსიანობა დასრულდება და ეს იქნება პოლიტიკური პროცესის გაჯანსაღებისთვის უმნიშვნელოვანესი გზა.



ნაციონალებთან მისული პარტიებით და ყველას ერთ ქვაბში მოხარშვით არაფერი არ შეიცვლება. მათი ჯამი იქნება ისევ იგივე. გამწევი ძალა ნაციონალების არის, მაგრამ ესეც დათვლილია, ვერ უსწრებს „ოცნების“ ელექტორატს. რაც შეეხება დანარჩენ ელექტორატს, მათი მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია და ეს არის 60 პროცენტზე მეტი. სწორედ 60 პროცენტი არის მესამე ძალის ამომრჩეველი.

***– ვინ უნდა შექმნას მესამე ცენტრი?***

– იმ წვრილმა პარტიებმა, რომლებსაც დღეს არაფერი აქვთ საერთო არც ნაცებთან და არც „ქოცებთან“. თუ ასეთი ალტერნატივა შეიქმნება, ისინი აუცილებლად გადალახავენ 5-პროცენტიან ბარიერს.

***– მამუკა მდინარაძემ, მკაფიოდ შემიძლია გითხრათ, რომ 5-პროცენტიანი ბარიერის დაწევის საკითხი დღის წესრიგში არ დგასო. შეიძლება ხელისუფლებამ ბარიერი დაწიოს?***

– დღეს არც „ოცნებას“ და არც ნაციონალურ მოძრაობას არ აწყობს 5-პროცენტიანი ბარიერის დაწევა. ამას ღიად ამბობს ხელისუფლება და ვერ ამბობს ნაციონალური მოძრაობა. თუმცა, როგორც კი შეიქმნება მესამე ცენტრი, „ქართული ოცნება“ იმ წუთში დაწევს საარჩევნო ბარიერს და ამით შეეცდება, ეს ცენტრი დაშალოს.

***– რომ ამ პარტიებმა პარლამენტში საკუთარი სიით გაიყვანონ უფრო მეტი დეპუტატი?***

– დიახ, სწორედ ამას ვგულისხმობ. თუმცა, შემიძლია გითხრათ, რომ ამ ცენტრს 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვის პრობლემა ნამდვილად არ ექნება. მეტიც, მათ უკვე, პარლამენტში, კოალიციის შექმნაზეც კი შეეძლებათ საუბარი.

***– კოალიცია ვისთან, „ოცნებასთან“?***

– იმასთან, ვისაც ექნება ოქროს მანდატები. კოალიცია სწორედ ამას გულისხმობს, ვინც არ არის შენი მოკავშირე და ვინც არ არის შენთან, იმასთან უნდა შეძლო მოლაპარაკება. ეს არის რეალური კოალიცია. არჩევნების წინ რომ იქმნება ერთობა, ის არ არის კლასიკური გაგებით კოალიცია. ის არის წინასაარჩევნო ბლოკი ან გაერთიანება.

თუ მიიღწევა ეს ყველაფერი, ეს ნიშნავს, რომ პოლარიზაცია დასრულდება.

***– დასრულდება ორპოლუსიანობა?***

– დიახ. მერე უკვე მთავრობაც სულ სხვანაირად დაკომპლექტდება და ეს პოლიტიკურ პროცესს გააჯანსაღებს.

***– რამდენად არის შანსი, რომ რეალურად მოხდეს?***

– რეალურად არსებობს ელექტორატი, რომელიც სწორედ მესამეს ირჩევს. 60 პროცენტის არჩევანი არის მესამე და არა უკვე არსებული ან „ოცნება“, ან ნაციონალური მოძრაობა. რამდენად შეძლებს ოპოზიცია ამ ელექტორატის ათვისებას, ეს უკვე სხვა საქმეა. მართალია, სათქმელად ადვილია და გასაკეთებლად რთულია, თუმცა, თუ პოლიტიკოსები არიან და ეს მათი საქმეა, უნდა შეძლონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, 2024 წლის არჩევნებსაც „ქართული ოცნება“ მოიგებს და მეორე ადგილზე ისევ ნაციონალური მოძრაობა გავა. იქნება იგივე, რაც აქამდე იყო.

***– ამ პროცესს ალბათ ლიდერი დასჭირდება. როგორ უნდა მოხდეს ლიდერზე შეთანხმება თუ პროცესმა უნდა გამოკვეთოს?***

– თქვენ სწორად აღნიშნეთ, ლიდერს პროცესი გამოკვეთს ხოლმე, თუმცა, პირველ რიგში, აუცილებელია იმ პოლიტიკურმა ჯგუფმა, რომელზეც არის საუბარი, რაღაც შეთანხმებას მაინც უნდა მიაღწიოს ლიდერზე. გარკვეული კრიტერიუმები უნდა იყოს და იმ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს. შეიძლება იყოს შიდა გამოკითხვა ან არჩევნები და ა.შ. რაღაც წესებით უნდა მოხდეს შეთანხმება. ლიდერი აუცილებელია. ამ პროცესს ნამდვილად დასჭირდება გამოკვეთილი ლიდერი.

– ალბათ ეს ყველაზე რთული იქნება.

– დიახ, მარტივი არ იქნება, ყველას აქვს ამბიცია, მაგრამ ეს ამბიციები გვერდით უნდა გადადონ, თუ ამ ქვეყნის მომავალი ოდნავ მაინც ადარდებთ.

# პრემიერი: „ყოფილი პრეზიდენტი, სიმულიანტი კაცი, მილიონებს ხარჯავს მთელ მსოფლიოში, რომ ჩვენი სახელმწიფოს იმიჯი დაზიანდეს“

– რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, ჩვენმა საზოგადოებამ ნახა მტკიცებულებები იმისა, თუ როგორ მტრობს სააკაშვილის ოჯახი ჩვენს სახელმწიფოს და არა მხოლოდ სააკაშვილის ოჯახი და პირადად სიმულიანტი სააკაშვილი, მისგან მოდის ყველაფერი, რა თქმა უნდა, ამ პროცესში ჩართულნი არიან ჩვენი ქვეყნის მიმართ მტრულად განწყობილი ძალები.

როგორც დამნაშავე სააკაშვილის ოჯახის წევრები და მათი ლობისტები, ასევე სხვა დაინტერესებული პირები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, რომ ჩვენს ქვეყანაში არ იყოს მშვიდობა, სტაბილურობა და ეკონომიკური განვითარება, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, მათი ინტერესია, რომ მშვიდობა დასრულდეს და ქვეყანაში იყოს ომი და ნგრევა.

– რა შეიძლება იყოს იმაზე სამარცხვინო, როცა ყოფილი პრეზიდენტი, 9 წელი რომ მართავდა ამ ქვეყანას, ეს სიმულიანტი კაცი, მისი ოჯახი იხდის მილიონობით დოლარს, მილიონებს ხარჯავს მთელ მსოფლიოში იმისთვის, რომ ჩვენი სახელმწიფოს იმიჯი დაზიანდეს, ჩვენი რეპუტაცია შეილახოს, სახელმწიფოსი და არა მმართველი პარტიის. საქმე ეხება ჩვენს სახელმწიფოს, მეგობრებო, და ვინც ჩვენს სახელმწიფოს მიზანმიმართულად ებრძვის, ის არის ჩვენი ქვეყნის მტერი, სამწუხაროდ.

ერთი მინდა ვთქვა, სიმართლეს, რომელიც ჩვენს მხარეს არის, ვერავინ შეეწინააღმდეგება, ვერც ერთი ათეულობით მილიონი დოლარი, რაც არ უნდა ხარჯოს სააკაშვილის ოჯახმა, სხვათა შორის, კითხვები უნდა დაუსვათ თქვენ, საიდან აქვს 100 მლნ-ზე მეტი ქონება სააკაშვილის დედას, მაგალითად. საიდან ფინანსდება ეს მრავალმილიონიანი ანტისახელმწიფოებრივი კამპანია, – განაცხადა პრემიერმა.

# „სააკაშვილის გათავისუფლება რადიკალიზმის ხარისხს გაზრდის“

## დათო ლორთქიფანიძე: „პრემიერმინისტრობის კანდიდატი რომ დაასახელო, პარლამენტში უმრავლესობა უნდა გყავდეს. ნაცმოძრაობა ვერანაირი კრიტერიუმით უმრავლესობის ამღები ვერ არის“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.

***– ბატონო დათო, როგორ ფიქრობთ, რატომ განიზრახა პოლონელმა ექიმმა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში გარკვეული უკანონო ქმედების ჩადენა?***

– ამ საქმესთან დაკავშირებით ქართული გამონათქვამი მახსენდება: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“. არავითარი პრობლემა არ ჰქონდათ, რაც უნდოდათ, ის გაეტანათ. ამიტომ მისი ქმედება გაუგებარია. ბოდიშს ვიხდი და ამ ადამიანების თავებში რა იხარშება, აბსოლუტურად გაუგებარი და წარმოუდგენელია.

ამ შემთხვევაში კრეფსითად ნაციონალებს ვგულისხმობ. მნიშვნელობა არ აქვს, ქართული პასპორტი ედება ჯიბეში, თუ უცხოეთში მათი მხარდამჭერი იქნება.

***– საინტერესოა, მის ასეთ ქმედებას რა მიზანი ჰქონდა?***

– ჩემი სუბიექტური აზრით, ალბათ, პროვოკაციის მოწყობის მიზნით, ანალიზს გააკეთებდნენ და შედეგის ფალსიფიკაცია მოხდებოდა. როდესაც დადგებოდა ობიექტური პასუხი იმისა, რაც მათ აილეს და ოფიციალური გზით გაიტანეს, მერე სპეკულაციებისთვის ახალი ტალღა გამოუჩნდებოდათ. აბა, რას უნდა მიაწერო ასეთი ქმედება? ხომ ხედავთ, რას ამბობენ? ეს არანაირი დანაშაული არ არისო.

***– რატომ ამართლებენ?***

– არ ვიცი. მე მგონია, რომ ქართულ შეგნებულ საზოგადოებაზე მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიურად მოქმედებს იმ გაგებით, რომ კიდევ ერთხელ, თავხედობის ამ ნაწილში დაინახოს, წლების განმავლობაში ვისთან ჰქონდათ საქმე და ვინ ცდილობს ახლა ხელისუფლებაში ისევ დაბრუნდეს და მეტი სითავხედით გააგრძელოს ქვეყნის მართვა.

მართალია, ასე არ მოხდება, მაგრამ ამის მცდელობას ხომ ვხედავთ. აბა. რა საქციელი და რა განმარტებაა, რასაც ისინი იძლევიან? დედამისმა, ქალბატონმა ბრძანა: ვის რა უდევს წინდებში და, ბოდიში და საცვალში, ვისი რა საქმეაო.

ბარამიძემ თქვა, ეგ რა დარღვევაა, რა მოხდა მერე, წინდებით თუ გაიტანაო, ანუ არავითარი დარღვევა არ არისო. ექიმი მსოფლიოში, საზოგადოებაში მიღებულ ქცევის ნორმებს თვითონ უნდა იცავდეს. პირველ რიგში, ექიმი უნდა ექცეოდეს მიღებული ქცევის ნორმებში.



არ ვიცი, რა ანალიზი იყო, მაგრამ არ გამიგია, საკვლევი მასალა ადამიანს, ექიმს, წინდებით გადაჰქონდეს, ხელთათმანში რომ ჩაედო, მერე ეს ხელთათმანი ჯიბეში ჩაედო, მესმის, მაგრამ ასეთი რამ წინდებში ჩაიდო, ჩემთვის წარმოუდგენელია.

***– როგორც ირკვევა, ექიმების ჯგუფმა პალატა რომ დატოვა, ის ექიმი შემდეგ შებრუნებულა და ბიოლოგიური მასალა შემდეგ აულია, ანუ ამ უკანონო ქმედების ჩადენაში თვითონ პატიმარიც ჩართული ჩანს. ამაზე პენიტენციურ სამსახურს რა რეაქცია უნდა უნდა ჰქონდეს?***

– რა ქმედება უნდა განახორციელოს. დანაშაული, რომელიც სააკაშვილს აქვს ინკრიმინებული, იმაზე მეტი დანაშაული ვერ იქნება, რომ სხვა დანაშაულები გადაფაროს. რა თქმა უნდა, სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველი ვერ იქნება, მაგრამ საღად მოაზროვნე საზოგადოებას ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს, რომ ექიმის ქმედება მათი სცენარის შემადგენელი ნაწილია.

***– ცოტა ხნის წინ, გახმოვანდა, რომ ერთი პარტია, ნაცმოძრაობა, მეორე პარტიის, „სტრატეგია აღმაშენებლის“, ანუ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში 27%-იანი პარტია, 3%-იანი პარტიის ლიდერს, გიორგი ვაშაძეს პრემიერმინისტრობას სთავაზობს. ეს რას ნიშნავს, ნაცმოძრაობა იმდენად დაკნინდა, რომ საპრემიერო კაცი არ ჰყავს?***

– მე მაგ თემას იუმორისტული კუთხით ვუყურებ. არ მინდა პერსონიფიცირება მოვახდინო, რეკლამა გავუკეთო და თქვენს კითხვად გაზეთში, ვაშაძესთან დაკავშირებული თემები გავშალო.

პრემიერმინისტრობის კანდიდატი რომ გყავდეს და კანდიდატურა დაასახელო, ამისთვის აუცილებელია პარლამენტში უმრავლესობის ყოლა. ნაცმოძრაობა ვერანაირი კრიტერიუმით უმრავლესობის ამღები რომ ვერ არის, ამაში ორი აზრი არ არსებობს. ამიტომ მათი პრემიერ-მინისტრი ვინ იქნება, საერთოდ, საინტერესო არ არის.

***– ნაცმოძრაობაში შიგნით არსებულ მდგომარეობას რამენაირად არ ასახავს?***

– პერსონიფიცირების კუთხით თუ დავაკვირდებით, ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ნაცმოძრაობაში არის სრული ქაოსი. ვერ მიხვდები, ვისი ვიოლინო ვის როიალშია. ასეთ დღეში არიან. რომ ჰკითხოთ, ქვეყნის მართვაზე აქვთ პრეტენზია და სხვა პარტიის ლიდერის პრემიერმინისტრობის კანდიდატად დასახელება, არ მგონია, რაიმე სიძლიერის გამოხატულება იყოს.

პირიქით, ეს არის მათი დაშლილობის, დაქსაქსულობის მაჩვენებელი.

***– ანუ ნაცმოძრაობა ისე დაეცა, რომ საპრემიერო კაცს სხვაგან ეძებს?***

– ნათქვამია, ლობე-ყორეს ედებიანო, ისეა. ალბათ, ფიქრობენ, ვაშაძის დასახელებით, მის ელექტორატს გადაიბარებენ, მაგრამ პოლიტიკაში ელექტორატის დაჯამება არითმეტიკულად არ ხდება, კიდევ უფრო ღრმად თუ წავალთ, რა ელექტორატი ვაშაძეს ჰყავს, რომელმაც, შეიძლება, ნაცმოძრაობა გააძლიეროს?! ამ შემთხვევაში ისეა, მკვდარი მკვდარს აეკიდა, სამარემდე მიმათრიეო.

***– პრეზიდენტის მიერ ახლახან შეწყალებული გვარამია სტრასბურში ევროპარლამენტარებს შეხვდა. მათაც ხელისუფლების საწინააღმდეგო განცხადებებით აგვავსეს. სააკაშვილთან პოლონელი ექიმების ჩამოსვლასთან ერთად, დაიწყო საუბრები იმაზე, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილიც უნდა შეიწყალოს. პრეზიდენტი სააკაშვილს შეიწყალებს და ამით შეიძლება დეპოლარიზაციის პროცესი დაიწყოს?***

– პირდაპირ გეტყვით, სააკაშვილის გათავისუფლება რადიკალიზმის ხარისხს მხოლოდ და მხოლოდ გაზრდის. რაც მთავარია, საქართველოს პრეზიდენტს, საბედნიეროდ, იმის მექანიზმი არ აქვს, რომ სააკაშვილი ერთი ხელის მოსმით შეიწყალოს, რადგან სააკაშვილის მიმართ არის სხვა სისხლის სამართლის საქმეები, რომელზეც ჯერ განაჩენი დამდგარი არ არის. ვფიქრობ, პრეზიდენტ ზურაბიშვილს ეს აბრკოლებს, თორემ...

***– პრეზიდენტმა სააკაშვილი რომ შეიწყალოს, პროკურატურამ შეიძლება, ის ისევ ციხეში შეაბრუნოს იმ საქმეების გამო, რაზეც სასამართლო პროცესები მიმდინარეობს? მგონი, 4 საქმე განიხილება.***

– მაგას გეუბნებით. საქმეც ეგაა, არავითარი გარანტია არ აქვთ, რომ ქართული მართლმსაჯულება სააკაშვილს სხვა საქმეებზეც დამნაშავედ არ ცნობს და სხვა სისხლის სამართლის დანაშაულზე არ მიესჯება.

ამ ფაქტორის გამო ცდილობენ, სხვადასხვა მანიპულაციით, როგორმე მისი საქართველოდან (თუნდაც მკურნალობის საჭიროების მანტიაში გახვეული) გაყვანა მოახერხონ, რათა შემდეგ იქიდან მოწოდებები გაავრცელოს – პოლიტიკურად ხმალი იშიშვლოს.

***– კერძოდ?***

– ხომ ხედავთ, ბოლო დღეებში მიშა როგორ გააქტიურდა. წერილებს აქვეყნებს, რალაცებს იგონებს, თითქოს პუტინს ებრძოდა. 2004 წელს პუტინს თვალებში რომ ჩახედა და გვითხრა, რომ მის თვალებში სიკეთე დაინახა, ჩვენ ეს არ დაგვიწყებია.

ახლა წერს, რომ მაშინ პუტინს კრემლში ელაპარაკა და იქიდან წამოსული, გაგიჟებული იყო, რადგან პუტინი აპირებდა იმის გაკეთებას, რასაც დღეს აკეთებს. რაც საქართველოში 2008 წელს გააკეთა. ამის შესახებ მსოფლიოს ვაფრთხილებდი და, როგორც გაბოროტებულ გიჟს, ისე მიყურებდნენო.

ეს თვითონ სააკაშვილმა დაწერა და რა ვქნათ. ეს იმას ნიშნავს, რომ მას მსოფლიო პოლიტიკური ელიტის ნდობა არ ჰქონდა. ამას თვითონ აღიარებს. ახლა, ალბათ, მერე ვიღაცები ეტყვიან.

ახლა გამოქვეყნებულ პოსტში წერს, გაბოროტებულ გიჟად შემრაცხეს, არ დამიჯერესო.

ალბათ, მერე ვიღაც ურჩევს, რომ ეს პოსტი მისთვის მთლად მომგებიანი არ არის. ამიტომ ხვალ, რალაც ახალს გამოაქვეყნებს. მადაზეა მოსული, მსოფლიოს მიმართავს, გვაძაგებს, ივანიშვილს „მიწაში დებს“ (პოლიტიკურად, რა თქმა უნდა).

მიშა წერს, თითქოს საქართველო კურსს ასცდა, ივანიშვილი პუტინთან ვალშია და ყველაფერს აკეთებს, რომ ვალი გადაუხადოს. მოკლედ, ეს ადამიანი თავის სტიქიაშია.

## მიხეილ სააკაშვილი: „რატომ მიწა არ გასკდება და არ ჩაიტანს ამდენ უტიფარ და ყოველგვარ ზნეობას მოკლებულ ცრუპენტელას“

– რატომ მიწა არ გასკდება და არ ჩაიტანს ამდენ უტიფარ და ყოველგვარ ზნეობას მოკლებულ ცრუპენტელას, – ამის შესახებ საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განცხადებაშია ნათქვამი, რომელიც მის სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ ვრცელდება.

სააკაშვილის თქმით, დედამისი გიული ალასანია და მისი იურისტები „ანტისახელმწიფოებრივ“ ქმედებაში დაადანაშაულეს.

– დედაჩემს „ვივამედთან“ ტვ „ნადეჟდას“ და მოპარული „რუსთავი 2“-ის წარმომადგენლები დახვდნენ და მისი იურისტები „ანტისახელმწიფოებრივ“ ქმედებაში დაადანაშაულეს. რატომ მიწა არ გასკდება და არ ჩაიტანს ამდენ უტიფარ და ყოველგვარ ზნეობას მოკლებულ ცრუპენტელას.

თურმე ქართული სახელმწიფოს შემქმნელის დედა არის ანტისახელმწიფოებრივი და ის დაავიწყდათ, რომ 2012 წელს ივანიშვილის მიერ, საქართველოს წინააღმდეგ შეტანილ, ასობით მილიონი დოლარის სარჩელების მოგერიებას ვერ ავუდიოდით.

მთელს მსოფლიოს რომ აჩვენეს ტელევიზიით ჩემი წამება, ეს იყო თურმე სახელმწიფოებრივი ქმედება.

საქართველო რომ რუსეთის კოლონია გახდა, ეს ალბათ, საერთოდ სახელმწიფოებრიობის კულმინაციაა. ვინც ივანიშვილს ორუელი წააკითხა, იმან ცოტათი მაინც უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა ამ აბსურდის თეატრზე, – წერს სააკაშვილი.

## მამუკა მდინარაძე: „5%-იანი საარჩევნო ბარიერის დაწევის საკითხი დღის წესრიგში არ დგას“



– ძალიან მკაფიოდ შემიძლია გითხრათ – არა, 5%-იანი საარჩევნო ბარიერის დაწევის საკითხი დღის წესრიგში არ დგას! – ამის შესახებ პარლამენტში ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, მამუკა მდინარაძემ განაცხადა.

მდინარაძე ხაზგასმით ამბობს, რომ 5%-იანი საარჩევნო ბარიერის შენარჩუნების პირობებში მმართველი გუნდის მხრიდან არავითარი პირობა არ ირღვევა და ამაზე საუბარი არასწორია.

– შარშან ირაკლი კობახიძემ თქვა შემდეგი, რომ თუ იმ წელს საქართველო კანდიდატის სტატუსს მიიღებდა, ამისთვის მზად ვიყავით, მაგრამ არ თქმულა, რომ თუ საქართველო სტატუსს გაისად, ოდესლაც და იმის შემდეგ მიიღებს, ბარიერს დავწევთ. ასეთი დაპირება არ ყოფილა, მსგავსი რამე არ თქმულა.

ნებისმიერი მემორანდუმი, შარლ მიშელის შეთანხმება, რომელშიც ჩვენი ევროპელი კოლეგები იყვნენ ჩართული, იმის გამო ანულირდა, რომ მისი არც ერთი პუნქტის შესრულებაში ნაციონალურ მოძრაობას და სხვა ოპოზიციურ პარტიას მონაწილეობა არ მიუღია. პირიქით, მის საპირისპიროდ იმოქმედეს. შარლ მიშელის შეთანხმებას ნაციონალურმა მოძრაობამ ხელი საერთოდ არ მოაწერა. ევროპის უმრავლეს ქვეყნებში ისევე, როგორც ჩვენთან, 5%-იანი საარჩევნო ბარიერია, რასაც თავისი იურიდიული ახსნაც აქვს – ბალანსი ყოველთვის მოსაძებნია ორ დიდ ინტერესს შორის. არის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა რისკები, რასაც კონსტიტუციონალისტები თეორიასა და პრაქტიკაში განიხილავენ ხოლმე, მეორე მხრივ, არსებობს პლურალიზმისა და მრავალპარტიულობის ინტერესიც. ევროპის ქვეყნების ნახევარზე მეტმა გადაწყვიტა, რომ 5%-იანი ბარიერი ორივე ინტერესს ყველაზე კარგად აბალანსებს, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

## „კეზერაშვილმა გაძარცვა ჯარი და ატერორებდა ბიზნესს“



– „ფორმულა“ არის ბატონი კეზერაშვილის, ადამიანის, რომელმაც ყველაზე დიდი ძარცვა ჩაიდინა 21-ე საუკუნეში. კაცმა მილიარდი დოლარი მოიპარა და „ფორმულასაც“ და სხვა პოლიტიკურ პარტიებს აფინანსებს მოპარული, ევროპელი პენსიონერების ფულით, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტის კითხვის პასუხად განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, კეზერაშვილმა გაძარცვა ჯარი და ატერორებდა ბიზნესს.

## ნინო ნადირაძე სააკაშვილზე: „11 ივლისის მონაცემებით, იყო 66 კილოგრამი და 200 გრამი, დავაფიქსირეთ მხოლოდ – 66“

„ვივამედის“ გენერალური დირექტორი ნინო ნადირაძე აცხადებს, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის წონა 11 ივლისის მონაცემებით, 66 კილოგრამს შეადგენს.

ნადირაძე ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძეს, რომელმაც განაცხადა, რომ სააკაშვილი 63 კილოგრამს იწონის, „ცინცხალ ტყუილში“ ადანაშაულებს.

– ხაჭაპურიძეს დაერიცხა და უმალ ცინცხალი ტყუილი გამოაცხო, 11 ივლისის მონაცემებით იყო 66კგ. და 200გრ. დავაფიქსირეთ მხოლოდ 66 კგ, – წერს ნადირაძე „ფეისბუქზე“. მანამდე, საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა განაცხადა, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ მძიმეა და ბოლო მონაცემებით, მისი წონა 63 კილოგრამია.

# კასპში, პოლიციის თანამშრომლისა და მისი ოჯახის მიმართ ჩადენილი ჯგუფური ძალადობის ფაქტზე დაკავებულებს პატიმრობა შეეფარდათ

გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გოგა კუპრეიშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლის, ლაშა ტუხაშვილის და მისი ოჯახის წევრების მიმართ ჩადენილი ჯგუფური ძალადობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ფაქტებზე, ბრალდებულ სამ პირს აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა შეუფარდა.

საქმის პროკურორის ოთარ დოხნაძის განცხადებით, საქმეში ცალსახადაა გამოკვეთილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ელი პრიმა ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით ჩადენილი დანაშაული (ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი ჯგუფურად, ორი ან მეტი პირის მიმართ), ასევე 126-ე მუხლის 1-ელი პრიმა ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი ჯგუფურად, ორი ან მეტი პირის მიმართ) და 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება ჩადენილი ძალადობით) გათვალისწინებული დანაშაული, შესაბამისად, ბრალდების მხარის შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე უალტერნატივოდ ითვალისწინებდა აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენებას. აღნიშნული შუამდგომლობის არგუმენტად პროკურორმა დაასახელა ბრალდებულების მხრიდან მოწმეებზე შესაძლო ზემოქმედების, ახალი დანაშაულის ჩადენის, მტკიცებულებების გაყალბების და მიმალვის საფრთხეები.

რაც შეეხება დაცვის მხარეს, ბრალდებულების – მიხეილ მაისურაძის, ჯიმშერ ცეცხლაძის და ბექა ღუდუაშვილის ინტერესებს ორი ადვოკატი, ნოდარ ცინცაძე და გოჩა გოჩიტაშვილი იცავს. ადვოკატებმა სასამართლოს მიმართეს შუამდგომლობით, ბრალდებულების მიმართ არ გამოყენებულიყო არც ერთი სახის აღკვეთის ღონისძიება, ან გამოყენებულიყო გირაო თითოეულ მათგანზე 2000 ლარის ოდენობით, ან მოსამართლის მიერ დადგენილი ოდენობა გადახდის ერთთვიანი ვადით, თუმცა, მოსამართლე გოგა კუპრეიშვილმა დაცვის მხარის ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

– დიახ, ფიზიკური დაპირისპირება იყო, ადგილი ჰქონდა ფიზიკური ძალის გამოყენებას, მაგრამ ეს ძალის გამოყენება იყო პროპორციული იმ აგრესიისა, რასაც ჰქონდა ადგილი. ჩხუბის პროვოცირება მოახდინა ელბერტ ტუხაშვილმა, ლაშა ტუხაშვილის მამამ (რომელიც ასევე ყოფილი გამომძიებელია), სწორედ აგრესიას და გინებას მოჰყვა



საპასუხო რეაქცია ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფების მხრიდან, ერთ-ერთი კი, მხოლოდ აშველებდა მათ. რაც შეეხება იმას, რომ პოლიციის თანამშრომლის მიმართ მოხდა ძალადობა და საშტატო იარაღის წართმევა, ლაშა ტუხაშვილს პოლიციის თანამშრომლის არანაირი მაიდენტიფიცირებელი ნიშანი არ ჰქონდა, იმყოფებოდა სამოქალაქო ფორმაში, არ გადაადგილდებოდა ციმციმებიანი ან სხვა მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მქონე ავტომობილით, შესაბამისად, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირები ვერაფრით მიხვდებოდნენ, რომ ის იყო პოლიციის თანამშრომელი, ამიტომ მათ სცადეს იარაღიანი პირის განეიტრალება. მათ მიმართ არ უნდა იქნას გამოყენებული არც ერთი სახის აღკვეთის ღონისძიება, ან შეეფარდოთ გირაო თითოეულ მათგანზე 2.000 ლარის ოდენობით, ან მოსამართლის მიერ დადგენილი ოდენობა გადახდის ვადით ერთი თვე, – აღნიშნა ადვოკატმა ნოდარ ცინცაძემ.

ადვოკატმა გოჩა გოჩიტაშვილმა კი სასამართლოს წინაშე აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენების უსაფუძვლობაზე საუბრისას აღნიშნა, რომ არც ერთი ბრალდებულის მხრიდან მიმალვის საფრთხე არ არსებობს.

– ბრალდებულ ცეცხლაძეს ჰყავს 5 მცირეწლოვანი შვილი, ღუდუაშვილს – 3 თვის შვილი, მაისურაძეს კი ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები აქვს და შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზით 7 წელია ინსულინდამოკიდებულია, შესაბამისად, უსაფუძვლოა ბრალდების მხარის ვარაუდი, რომ რომელიმე მათგანის მიმალვის საფრთხე არსებობს, – განაცხადა გოჩიტაშვილმა.

დაცვის მხარის ინფორმაციით, დაკავებისას, დაზარალებულს და მის მამას მიეცათ ცეცხლაძესა და მაისურაძეზე წვდომის საშუალება და მათ ფიზიკურად გაუსწორდნენ.

პროკურორის განცხადებით, აღნიშნულ ფაქტზე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ცალკეა დაწყებულია გამოძიება.

– როცა სასამართლოში გამოდიხარ და რაღაცას ამტკიცებ და როცა არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, ცოტა უხერხულია ხმამაღალი განცხადებების კეთება. ამასთან, ყველამ წარმოიდგინოს ტუხაშვილის და მისი ოჯახის წევრების მდგომარეობა, ანუ, ვინაიდან პოლიციელია, არ აქვს უფლება, რომ დაიცვას საკუთარი თავი და ოჯახი?! რაც შეეხება დაკავებულებზე შესაძლო ფიზიკურ ზეწოლას, რაზეც საუბრობს დაცვის მხარე, აღნიშნულზე ცალკე დაწყებულია გამოძიება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ და დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში ამ საქმეზეც დადგინდება ჭეშმარიტება.

რაც შეეხება პოლიციის თანამშრომლის მხრიდან არასამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას იარაღის ქონის და გასროლის ფაქტებს, ბრალდებულები ცდილობდნენ, რომ წაერთმიათ დაზარალებულისთვის ცეცხლსასროლი იარაღი, რა დროსაც მოხდა აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა, ეს დადასტურებულია და ბრალდებულების ერთ-ერთი თანამგზავრი ადასტურებს იმას, რომ დაზარალებულის მხრიდან ადგილი არ ჰქონია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას. რაც შეეხება იმას, რომ რატომ ატარებდა იარაღს, ეს იარაღი არის ტაბელური, საშტატო და, შესაბამისად, არ არსებობს არც ერთი ბრძანება იმასთან დაკავშირებით, რომელიც არასამსახურებრივ პერიოდში უკრძალავს მსგავსი კატეგორიის თანამდებობის პირს, ამ შემთხვევაში გამომძიებელს, ცეცხლსასროლი იარაღის ტარების შესაძლებლობას, – განაცხადა პროკურორმა ოთარ დოხნაძემ.

თავად ბრალდებულების განცხადებით, არც ერთი მათგანი წარდგენილ ბრალს არ ეთანხმება და თავს დამნაშავედ არ ცნობს.

შეგახსენებთ, კასპის მუნიციპალიტეტში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლის ლაშა ტუხაშვილის და მისი ოჯახის წევრების მიმართ ჩადენილი ჯგუფური ძალადობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ფაქტებზე, სამართალდამცავებმა 3 პირი 16 ივლისს დააკავეს. დაპირისპირება ერთ-ერთ ბრალდებულსა და ლაშა ტუხაშვილის მეუღლის ავტომობილებს შორის მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას მოჰყვა.

წინასასამართლო სხდომა გორში 4 სექტემბერს გაიმართება.

# სასტუმრო „ოაზისის“ ადვოკატი: „აუზზე, სადაც 5 წლამდე ბავშვი დაიხრჩო, ყველა რეგულაცია დაცული იყო“

სასტუმრო „ოაზისის“ ადვოკატის, კახა წერეთლის განცხადებით, სასტუმროს აუზზე, სადაც გუშინ 5 წლამდე ბავშვი დაიხრჩო, ყველა რეგულაცია დაცული იყო.

როგორც წერეთელმა ჟურნალისტებს


კახა წერეთელი

განუცხადა, სასტუმროს ადმინისტრაცია გამოძიებასთან სრულად თანამშრომლობს და საქმეზე გამოკითხვები უკვე დაწყებულია.

რაც შეეხება უშუალოდ მომხდარ ფაქტს, ადვოკატის ინფორმაციით, აუზის ის მონაკვეთი, სადაც მცირეწლოვანი იყო ჩასული, ბავშვებისთვის განკუთვნილი არ იყო.

– რაც მოხდა, უდიდესი ტრაგედიაა და მინდა, ადმინისტრაციის სახელით სამძიმარი გამოვუცხადო გარდაცვლილის ოჯახს. ადმინისტრაცია გამოძიებასთან სრულად თანამშრომლობს, გუშინვე მოხდა დროულად ჩანაწერების დათვალიერება. ასევე დაწყებულია გამოკითხვები ჩაქვის პოლიციაში, რაც დღესაც გრძელდება. რაც შეეხება მომხდარს, ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით და დოკუმენტებით, ის, რა ვალდებულებებიც გააჩნია ადმინისტრაციას აუზების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით, დაცულია. თუმცა სრული ინფორმაცია წარედგინება გამოძიებას, – აცხადებს ადვოკატი.

მისივე თქმით, შემთხვევის შემდეგ ადგილზე დაუყოვნებლივ იყვნენ სამედიცინო პუნქტის წარმომადგენელი და მაშველი.

– სამედიცინო პუნქტი ტერიტორიაზე ნამდვილად არსებობს, როგორც არის წესი. შემთხვევიდან რამდენიმე წამში სამედიცინო პუნქტის წარმომადგენელი ადგილზე იყო და დახმარების აღმოჩენას ცდილობდა. მაშველებიც შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ იყვნენ. ვალდებულება, რომ ყველა აუზთან თითო მაშველი იყოს, არ არსებობს. ის, რაც არის რეგულაციებით გათვალისწინებული, შესრულებული იყო, – განაცხადა ადვოკატმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. შეგახსენებთ, რომ გუშინ, ჩაქვში, სასტუმრო „ოაზისის“ აუზზე 5 წლამდე ბავშვი დაიხრჩო.

– გარდაცვლილი 5 წლის ბიჭია. დედასთან ერთად ისვენებდა. როგორც ამბობენ, დიდებისთვის განკუთვნილ აუზში ბანაობდა. აუზზე სხვა დამსვენებლებიც იყვნენ, მაგრამ დახრჩობის მომენტი არავის დაუნახავს. როგორც ჰყვებიან, აზრად არ მოსვლიათ, თუ ბავშვი იხრჩობოდა. ამბობენ, რომ დედა-შვილი ქუთაისიდან იყო ჩამოსული, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ერთ-ერთმა ადგილობრივმა.

## სასამართლომ 2 ექიმი დამნაშავედ ცნო

გენერალური პროკურატურის ცნობით, თბილისის საქალაქო სასამართლომ პაციენტის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის და უკანონო საექიმო საქმიანობის ფაქტებზე ორი ბრალდებული დამნაშავედ ცნო. ფაქტი ეხება 2018 წელს, თბილისში, მშობიარობის შემდგომ დამძიმების გამო გარდაცვლილი ქალის საქმეს.

– სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 10 აგვისტოს, თბილისში, დედათა დახმარების სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილება „ნინო“-ს მორიგე ბრიგადის ხელმძღვანელმა, მიუხედავად იმისა, იცოდა, რომ ერთ-ერთ ექიმს შეჩერებული ჰქონდა „მეანობა-გინეკოლოგიაში“ სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება, პაციენტი სამშობიაროდ და შემდგომი მეთვალყურეობისთვის მას გადააბარა, თავად კი პაციენტს უშუალო მეთვალყურეობა აღარ გაუწია, – წერია განცხადებაში.

უწყება ამბობს, რომ მშობიარობის შემდგომ პაციენტის მდგომარეობა დამძიმდა, ლიცენზიაშეჩერებულმა ექიმმა კი ვერ შეძლო სწორი დიაგნოზის დასმა და სათანადო მკურნალობის ჩატარება, რის გამოც 2018 წლის 11 აგვისტოს პაციენტი გარდაიცვალა.

სასამართლომ სასჯელის სახედ და ზომად ბრალდებულებიდან ერთს 3 წლით და 6 თვით, ხოლო მეორეს 2 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. ბრალდებულები სასამართლო დარბაზში დააკავეს.

## ზესტაფონში, მდინარე ძუსაში, მაშველებმა მოზარდის ცხედარი იპოვეს

ზესტაფონში, მდინარე ძუსაში, მაშველებმა მოზარდის ცხედარი იპოვეს. ფაქტი ცოტა ხნის წინ მოხდა.

სავარაუდოდ, ის ორი დღის წინ გაუჩინარებული 18 წლის ბიჭია. ცხედარს ექსპერტიზაზე გადაასვენებენ და დაზუსტებული ინფორმაცია მოგვიანებით იქნება ცნობილი.

თორნიკე მესხი მდინარეში 17 ივლისს ჩავარდა. მას სამი დღის განმავლობაში მეხანძრე-მაშველები და მყვინთავები ეძებდნენ.

## ვინ არის და რას ედავებიან ქართველ კანონიერ ქურდს გურამ ჩიხლაძეს

ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდის დაკავება თურქული მედიის მთავარი თემაა. 39 წლის გურამ ჩიხლაძე სტამბულში სპეცოპერაციის დროს აიყვანეს. ქართულ-აზერბაიჯანული კლანის ერთ-ერთი ლიდერი 2016 წელს მოკლული კანონიერი ქურდის, როვშან ჯანიევის გარემოცვად მიიჩნევა და მის სახელთან დაკავშირებულია არაერთი მძიმე დანაშაული თურქეთში, რუსეთსა და ბალკანეთის ქვეყნებში.



მკვლელობები, ქურდული ანგარიშსწორებები, ფულის გამოძალვა – ეს არასრული ჩამონათვალია იმ ბრალდებების, რასაც გურამ ჩიხლაძეს ედავებიან. ქართველი კრიმინალური „ავტორიტეტი“, როგორც განსაკუთრებით საშიში დამნაშავე, ინტერპოლის წითელი ცირკულარით იძებნება. სტამბულის უსაფრთხოების სამსახური ე.წ. კანონიერი ქურდის დაკავებას განცხადებით გამოეხმაურა.

გურამ ჩიხლაძე თურქეთში 2020 წელსაც დააკავეს. მასთან ერთად დააპატიმრეს დაჯგუფების 16 წევრი. მისი სახელი ფიგურირებს რამდენიმე კრიმინალურ ანგარიშსწორებაში თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში. მტკიცებულებების მიუხედავად, ჩიხლაძემ საპატიმროდან თავის დაღწევა შეძლო. მოსალოდნელი საფრთხის გამო ის სტამბულში ბრონირებული მანქანით და შეიარაღებული დაცვის თანხლებით გადაადგილდებოდა.

გურამ ჩიხლაძე ორჯერ იხდიდა სასჯელს რუსეთშიც. ის საქართველოში წლებია არ იმყოფება, თუმცა მხილებულია შურისძიების მოტივით საქართველოს მოქალაქის მკვლელობაში. 2014 წელს მოსკოვში ოჯახის წევრების თვალწინ ცეცხლსასროლი იარაღით ჩაცხრილა დავით მელქაძე, რომელსაც წლების წინ მამის, ასევე ე.წ. კანონიერი ქურდის, ავთანდილ ჩიხლაძის მკვლელობაში ადანაშაულებდა.

# მიმიფურთხებია რუსეთისათვის!



ყირიმის ხიდზე დივერსიამ რუსეთ-უკრაინის ფრონტზე სიტუაცია უმაგალითოდ დაძაბა. ვლადიმერ პუტინი ასეთი გაცოფებული არავის უნახავს. ახლა ტელეკამერის წინ პუტინი ღრიალებდა და არაფერს ერიდებოდა. მან პირდაპირ განაცხადა:

— სტალინი მართალი იყო, როცა გოლოდომორი მოაწყო! მას ესმოდა, რომ უკრაინელთა მოთვინიერება ისევე შეუძლებელია, როგორც მგლის! ამიტომ უკრაინელები უნდა ამოწყვიტო!

სიტყვას საქმეც მოჰყვა. რუსეთმა უკრაინაზე მორიგი ფართომასშტაბიანი შეტევა დაიწყო. თუმცა რუსეთს არ გააჩნია რესურსები, რომ უკრაინას ოთხივე მხრიდან დაარტყას, ამიტომ შეტევა ძირითადად ლიმანის და სვატოვო-კრემენოეს მიმართულებით წარმოებს. აქ რუსებმა დიდ ძალებს მოუყარეს თავი:

— ლიმანის და სვატოვო-კრემენოეს მიმართულებით 100.000 რუსი მედესანტე გადმოსხეს, — იტყობინება უკრაინის სამხედრო დაზვერვა.

ფართომასშტაბიანი შეტევაც დაიწყო. გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლები. მიუხედავად ამისა, რუსებმა წინ წაწევა ვერც ამჯერად შეძლეს.

გააფთრებული ბრძოლებია ავდეევკასთან, მარინკასთან, ბახმუტთან. ავდეევკასთან უკრაინელებმა აიძულეს ოკუპანტები, უკან დაეხიათ, მარინკასთან კი ყველა პოზიცია შეინარჩუნეს. რაც შეეხება ბახმუტს, აქ ყველა სიმაღლე კვლავ უკრაინელების ხელთაა. პუტინის ბრძანებით გადმოსროლილმა სადესანტო ნაწილებმა მწვავე მარცხი იგემეს. მთელი ბახმუტი რუსი ჯარისკაცების ცხედრებითაა მოფენილი.

უკრაინელები დაუნდობლად ბომბავენ ბახმუტს და იქ გამაგრებულ რუსულ გარნიზონს. ოკუპანტები მართლაც სავალალო მდგომარეობაში არიან. უკრაინელები მათ ქალაქიდან გასვლის საშუალებას არ აძლევენ. გამოსავალი ორია: კაპიტულაცია ან სიკვდილი.

გრძელდება უკრაინული არმიის წინსვლა ბერდიანკთან, მარიუპოლსა და ზაპოროჟიე-ხერსონის ოლქის ნაწილში. ამრიგად, პუტინის მყვირალა განცხადებები — უკრაინელთა შეტევა შევაჩერეთო, სიმართლეს არ შეესაბამება. გრძელდება დივერსიები ყირიმში, აფეთქებები სევასტოპოლში, ჯანკოიში და ა.შ.

პუტინის ისტერიკებიც იზრდება. დიქტატორი უკვე ტელევიზიით გაჰკივის, აქაოდა ხოხოლებს (ამიერიდან ამ სიტყვას ხმარობს) კუდით ქვას ვასროლინებთ და მათ წინააღმდეგ ქიმიურ იარაღს გამოვიყენებთო. ზელენსკიმ პასუხის გაცემა არ დააყოვნა:

— მიმიფურთხებია რუსეთისათვის!

ეს სიტყვები მთელმა უკრაინამ აიტაცა. ოდესიდან კიევამდე, დონბასიდან კარპატებამდე გაისმის ერთსულოვანი სკანდირება:

— მიმიფურთხებია რუსეთისათვის!

## რამშტეინის ფორმატში შეხვედრა შედგა



შედგა მორიგი შეხვედრა რამშტეინის ფორმატში. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ოსტინმა განაცხადა, რომ აშშ ყველაფერს გააკეთებს უკრაინის შეიარაღებული ძალების კიდევ უფრო გასაძლიერებლად. კერძოდ, უკრაინისათვის იყიდიან საბრძოლო მასალებს, მოამზადებენ ჯარისკაცებს და ა.შ.

უკრაინის თავდაცვის მინისტრმა რეზნიკოვმა თავის ამერიკელ კოლეგას მადლობა გადაუხადა. მან განაცხადა, რომ უკრაინული არმია ქვეყნის სადარაჯოზე მტკიცედ დგას.

## ზელენსკი პუტინს არ შეხვდება



უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ განაცხადა, რომ ყველა ომი მოლაპარაკებებით მთავრდება. ამავე დროს მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ პუტინთან ლაპარაკი შეუძლებელია.

## მომავალ კვირას ტრამპს კვლავ სასამართლოში დაიბარებენ



— მე რომ პრეზიდენტი ვიყო, უკრაინაში 24 საათის განმავლობაში მშვიდობას დავამყარებდი, — განაცხადა აშშ-ის ექსპრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ როგორ მოახერხებდა ამას, ტრამპმა მიუგო:

— ზელენსკის ვეტყოდი, რომ აშშ უკრაინისათვის იარაღის მიწოდებას წყვეტს. პუტინს კი მოვახსენებდი, ზელენსკის მოელაპარაკე, თორემ უარეს იარაღს მივაწოდებთ, ვიდრე ამას ბაიდენი აკეთებს, — მიუგო ტრამპმა.

აღნიშნული სქემის გატარება შემდეგს ნიშნავს: ზელენსკის რამდენიმე თვეში იარაღი გაუთავდება, პუტინი კი იარაღის წარმოებას გააგრძელებს. ე.წ. მოლაპარაკებაც, ფაქტობრივად, კაპიტულაცია იქნება.

— რუსებით დასახლებული ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც ახლა რუსეთი აკონტროლებს, რუსეთს დარჩება; იმას კი, რაც უკრაინულმა არმიამ დაიკავა, უკრაინას, — მიუგო ტრამპმა.

მომავალ კვირას ტრამპს კვლავ სასამართლოში დაიბარებენ. მას ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით შეთქმულების მოწყობაში დაადანაშაულებენ. ტრამპი იქნება აშშ-ის პირველი პრეზიდენტი, რომელიც სასამართლოში მსგავსი ბრალდებით წარდგება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

საზოგადოება

# ბუბა კიკაბიძე 85 წლის გახდებოდა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

კიკაბიძის გმირი შუამავლად თამაშსა და ცხოვრებას, გამოგონილსა და რეალობას, პირობითსა და ნამდვილს, შეიძლება ითქვას, თეატრსა და კინოს შორის.

დიდი ქართველი არტისტის, ჭეშმარიტად სახალხო არტისტის გარდაცვალების შემდეგ ხალხმა მისი ფილმების „გადამეორება“ დაიწყო. როგორც ვხვდები, ბუბას შემოქმედებაში ყველაზე პოპულარული სახე ვალიკო მიზანდარია გია დანელიას „მიმინოში“. საქართველოშიც, სომხეთშიც, აზერბაიჯანშიც, უკრაინაშიც „ჩიტო-გვრიტოს“ ნებისმიერი ადამიანი დაამღერებს, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს დანელიას ეს კომედია. თავად გია დანელიას გული წყდებოდა, რომ „არ დაიდარდო“, მისი საყვარელი ფილმი, „მიმინომ“ დაჩრდილა კიდეც. მეც უნდა გავიზიარო რეჟისორის წუხილი — ბუბა სწორედ აქაა ისეთი, როგორიც მიყვარს — ჭკვიანი, მგრძნობიარე, ლაღი და, რაც მთავარია, „ნაღდი ქართველის“ იმ სტერეოტიპებისგან თავისუფალი, რომლებიც წლების მანძილზე შექმნა ჯერ საბჭოთა და შემდეგ პოსტსაბჭოთა კულტურამ. ქართულმა და რუსულმა განსაკუთრებით.

„არ დაიდარდოს“ გადაღების ისტორია საკმაოდ უცნაურია და, ცოტა არ იყოს, იდუმალებით მოცულიც. არ არის გამორიცხული, საბჭოთა კავშირში შეიტყვეს, რომ ფრანგები კლოდ ტილიეს წიგნის, „ბიძაჩემი ბენჟამენის“ ეკრანიზაციას აპირებდნენ და დაასწრეს ფილმის ავტორს, ედუარდ მოლინაროს. შეიძლება პირიქით მოხდა. ფაქტია, რომ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს დაწერილი ტექსტის ორი კინოვერსია, საბჭოთა და ფრანგული, თითქმის ერთდროულად გამოვიდა ეკრანებზე. მეტიც, ორივე ფილმში ბენჟამენის როლს მომღერალი ასრულებს და არა პროფესიონალი მსახიობი, გია დანელიასთან ბუბა კიკაბიძე, მოლინაროსთან — ჟაკ ბრელი. ამ არჩევანმა ფილმებზეც იმოქმედა — თითქმის ყოველთვის მელანქოლიურმა ჟაკ ბრელმა ვერაფერი მოუხერხა მოლინაროს უსიცოცხლო ფილმს. „ბიძაჩემი ბენჟამენი“ დაიკარგა კინოს ისტორიაში. „არ დაიდარდო“ კი იქცა ქართველი ხალხის თავისებურ კოლექტიურ პორტრეტად, რომლის ცენტრალური გმირი, რაღა თქმა უნდა, ბუბა კიკაბიძის ბენჟამენია.

რეზო გაბრიაძის შესანიშნავი სცენარის მიუხედავად („არ დაიდარდოს“ დიალოგები ხალხმა ფილმის ერთი ნახვით დაიმახსოვრა), თავიდან გია დანელია, როგორც ჩანს, ცდილობდა მაქსიმალურად შეენარჩუნებინა ლიტერატურული პირველწყაროს სტილი. შესაბამისად, ბუბას კანდიდატურაც ბენჟამენის როლზე მყისიერად დაიწუნა. დანელია ამბობდა, რომ ბუბა გარეგნულად არ უხდება ამ როლს (წიგნში ბენჟამენი მაღალი, ქერა, ცისფერთვალება კაცია), თანაც ფილმის მთავარ გმირზე არაპროფესიონალი მსახიობის დამტკიცება, მეტისმეტად სარისკო იქნებოდა.

მაგრამ ბუბამ არამარტო კარგად ითამაშა, მან შეცვალა თავად დანელიას სტილიც. „არ დაიდარდოში“ რეჟისორი, რომელმაც სახელი გაითქვა ჯერ „სერიოჟათი“ და შემდეგ ფილმით „დავდივარ მოსკოვის ქუჩებში“, ურთულეს ჟანრს, ტრაგიკომედიას შეეჭიდა... ბუბა, თავისი „გახსნილი ღიმილით“ და სევდიანი თვალებით, იდეალურად მოერგო ტრაგიფარსის სტილისტიკას. მეტიც, „არ დაიდარდოში“ მოსკოველი რეჟისორი გია დანელია, რომელსაც საქართველოში ფაქტობრივად არც უცხოვრია, გადაიქცა ქართველად, რომელმაც თითქოს ყველაფერი იცის თავის სამშობლოზე, მაგრამ სხვა კულტურის შვილია უკვე. ბუბა კიკაბიძე აქაც შუამავლად იქცა.

„არ დაიდარდოში“ ერთიანი სიუჟეტური ხაზი არ არსებობს. დანელიას მიზანი ამბის თხრობა არ არის. მას ადამიანების ქცევა აინტერესებს. „არასტანდარტული ქცევა“ ასე თუ ისე აწყობილ გარემოში კი ღიმილს ბადებს და აძლიერებს კომიკურს. მაგრამ „არ დაიდარდოში“ ამ ღიმილს ემატება დაკარგული ბედნიერების განცდა, დაკარგული სამოთხის და შეიძლება დანელიასთვის ესოდენ მნიშვნელოვანი „დაკარგული სახლის“ განცდაც. დისტანცია, რომელსაც ინარჩუნებს ავტორი თავის გმირებთან, მოსკოველი ქართველის დისტანცია საქართველოსა და ქართველებთან — აღსავსეა ნოსტალგიით, სევდით და, რაღა თქმა უნდა, ქართველების რომანტიზებით.

„არ დაიდარდოში“ სიცოცხლის სიყვარული იმდენად ძლიერია, რომ იქმნება ზღვარი ბედნიერებისა, რომლის იქით დასასრულია. ვფიქრობ, სწორედ ეს აახლოებს ფილმს არა მარტო კლოდ ტილიეს წიგნთან, არამედ მთლიანად ფრანგულ კულტურასთან, ფრანგულ კინოსთან, განსაკუთრებით ჟან რენუარის ფილმებთან. „არ დაიდარდო“ ისევეა ქართული ფილმი, როგორც ფრანგული... მაგრამ აქვე ჩნდება ერთი სერიოზული პრობლემა ქართული კინოსთვის და შესაძლებელია ყველასთვის, ვინც თავს ქართული კულტურის ნაწილად გრძნობს.

რატომ უყვართ ასე ძალიან რუსებს გია დანელიას ფილმები? რატომაა, რომ დამპყრობელი ამ დღეებშიც კი, როცა საქართველო დიდ არტისტს დაემშვიდობა, ბედავს და წერს: „მან გააერთიანა რუსი და ქართველი ხალხი“, „იგი პირველ რიგში საბჭოთა არტისტია, იმ ქვეყნის შვილი, სადაც ადამიანებს ნაციონალური ნიშნით არ ჰყოფდნენ“, „არ დაიდარდო“ და „მიმინო“ — ეს ის საქართველოა, რომელიც დავკარგეთ“... მეტიც, „დიდი ბოდიში, მაგრამ კიკაბიძეს ჩვენიანად მივიჩნევთ“.

სიცოცხლის სიყვარული — გამოხატული სიმღერებში, ღვინოსა და სუფრაში, არშიყის უნარში, არტისტიზმში, ყოველთვის იზიდავდა რუსებს საქართველოში. ბუბა მათთვის ქართველი კაცის სიმბოლოც კი გახდა. ისევე, როგორც მთელი ქართული კინო, განსაკუთრებით, ქართული კომედიები იქცა სრულიად საბჭოთა კავშირისთვის ქართული ხასიათის... მოდური გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, „არამატერიალურ კულტურულ ძეგლად“.

„არ დაიდარდო“ ერთგვარი დასაწყისია ქართული საბჭოთა კინოს ახალი გზის, როცა საბჭოთა აბსურდზე, ნაცრისფერ ყოფაზე, ერთფეროვნებასა და ერთნაირობაზე გამარჯვება ერთი სევდიანი ღიმილით გახდა შესაძლებელი. მაგრამ სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და ვაღიაროთ, რომ კინო, რომელიც ცდილობდა გადარჩენილიყო მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული იდენტობის შენარჩუნებით, ნელ-ნელა ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპონატს დაემსგავსა.

ეზოპეს ენა და ფოლკლორულ ტრადიციებზე მიბმა ინფანტილიზმს უფრო გამოხატავდა, ვიდრე ზრდასრულობას. მერე მოვიდა დრო, როცა დამპყრობლის „მოტყუება“ საჭირო აღარ გახდა. თრობის ხანა დასრულდა. ახალმა რეალობამ გამოხატვის ახალი ფორმები მოითხოვა. აღმოჩნდა, რომ ასეთი ფორმები ჩვენ, უბრალოდ, არა გვაქვს. საბჭოთა სისტემაში წარმატებულ არტისტებს ახალი რეალობის აღიარება არ სურდათ. ამიტომ თაყვანისმცემელი მხოლოდ რუსეთში დარჩათ, იქ, სადაც თუნდაც „თბილისოს“ ქართულ-რუსულად შეასრულებდნენ.

მაგრამ ბუბა კიკაბიძემ ამ როლზე უარი თქვა. მან შუამავლის როლიც კი დათმო, რადგან გამოცდილება ჰქონდა და იმის ცოდნაც, რას მოითხოვს დამპყრობელი ქართველი არტისტისგან. 2008 წელს წრე შეიკრა და ბუბა კიკაბიძე დაუბრუნდა თავის ბენჟამენ ღლონტს — კაცს, რომელსაც უყვარდა სიცოცხლე. მაგრამ კიდევ უფრო მეტად უყვარდა თავისუფლება.

მოასწრო და თავისუფალი გარდაიცვალა. წუხილით უკრაინაზე და დარდით საქართველოზე. უკანასკნელ გზაზე კი სწორედ ის ხალხი გაჰყვა, ვისაც მასავით თავისუფლება უყვარს. ზღვა ხალხი.

ასე რომ, აღარ იდარდო, ბუბა!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## განცხადებები

- მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.
- ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა — რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზონოვი კოლოსი და „უდინეზეში“ ბეკაოს შეცვლის კანდიდატია




იტალიური მედია იტყობინებოდა, რომ მოსკოვის „დინამოს“ ცენტრალური მცველით, საბა საზონოვით სერია A-ს სამი კლუბია დაინტერესებული: „ფროზინონე“, „სასუოლო“ და „უდინეზე“. ეს უკანასკნელი აღნიშნულ შესაძლო ტრანსფერში მეორე პლანზეა, თუმცა, არაა გამორიცხული, ვითარება შეიცვალოს.

Mondo Udinese-ს ცნობით, უდინურ გუნდს მისი დაცვის ბურჯი, 27 წლის ბრაზილიელი როდრიგო ბეკაო დატოვებს, რომელსაც ბონუსების ჩათვლით „ფენერბახჩე“ დაახლოებით 10 მილიონ ევროდ შეიძენს, ეს ფეხბურთელისთვის ყოველმხრივ კარგი იქნება, რამეთუ სეზონური 600-ათასიანი გასამრჯელო 2 მილიონამდე გაეზრდება და თან ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობის შესაძლებლობა მიეცემა.

ბეკაო „უდინეზეში“ 2019 წლიდან თამაშობდა და გუნდის დატოვების გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდა, მაგრამ შეთავაზება იმდენად მაცდუნებელი იყო, რომ უარი ვერ თქვა.

გამოცემა წერს, რომ „ახალი ბეკაო“ შეიძლება საზონოვი გახდეს: „საბა საზონოვს აკვირდებიან. ის ნამდვილი კოლოსია, თითქმის ორი მეტრის სიმაღლისაა და მხოლოდ 21 წლისაა. ტრანსფერის უზრუნველსაყოფი თანხა 3 მილიონია. ვნახოთ, „თეთრ-ცისფერები“ სერიოზულად იმუშავებენ თუ არა მის გადასაბირებლად და გარიგების მისაღწევად“.

# ფელიქსს „ატლეტიკოში“ აღარ დაელოდებიან




ჟოაო ფელიქსის განცხადებამ „ატლეტიკოს“ ფანები ძალიან გაალიზიანა. მოგეხსენებათ, პორტუგალიელმა რამდენიმე დღის წინ თქვა, რომ ბავშვობიდან „ბარსელონაში“ თამაშზე ოცნებობს და „ბლაუგრანა“ მისი საყვარელი კლუბია.

„როხიბლანკოს“ ქომაგები თავიანთი საყვარელი კლუბის სტადიონთან მივიდნენ, სადაც ახალგაზრდა შემტევის პატივსაცემად სამახსოვრო დაფა არის განთავსებული, ის შეურაცხყვეს და დააწერეს, რომ ფელიქსი მეძავია.

ესპანური პრესა ავრცელებს ინფორმაციას, რომ პორტუგალიელი კარიერას სწორედ „ბარსელონაში“ განაგრძობს, რომელიც ფეხბურთელს იჯარით აიყვანს და შემდეგ გამოსყიდვის უფლებაც ექნება.

# კვარაცხელიამ სამედიცინო შემოწმება გაიარა და დღეს „ნაპოლისთან“ ერთად ვარჯიშს იწყებს




ხვიჩა კვარაცხელია შვებულების შემდეგ „ნაპოლის“ შეკრებაზე დიმაროში გამოცხადდა. მან მერეტთან, რაჰმანისთან, ესტიგორთან, ზელინსკისთან, რასპადორისთან, ლობოტკასთან, ელმასთან და ოსიმენთან ერთად სამედიცინო შემოწმება გაიარა.

„ნაპოლი“ ახალი მწვრთნელის, რუდი გარსიას ხელმძღვანელობით, უკვე რამდენიმე დღეა შეუდგა ვარჯიშს და მათ დღეს ზემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელები შეუერთდებიან, რომლებსაც გულშემატკივრები სტადიონზე ოვაციებით შეხვდნენ.

ნეაპოლურ გუნდს ორი ამხანაგური მატჩი აქვს დაგეგმილი – 20 ივლისს „ანანუესთან“ და 24 ივლისს „სპალთან“.

## საერთაშორისო

# უკრაინული არმია ინიციატივას ინარჩუნებს



უკრაინული არმია ინიციატივას ინარჩუნებს. ამის თაობაზე განაცხადა უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ მალიარმა. მისი სიტყვებით, უკრაინულმა არმიამ შეაჩერა ოკუპანტების შეტევა სვატოვო-კრემენოესა და ლიმანთან, სადაც რუსეთმა 100.000 მეომარს მოუყარა თავი.

უკრაინული არმია განაგრძობს წამატებულ კონტრშეტევებს ზაპოროჟიე-ხერსონის ოლქებშიც. აქ მან კიდევ 21 კმ-ით წაიწია წინ.

ყირიმის ხიდის დაბომბვას და ფრონტზე წარუმატებლობებს რუსებმა უკრაინის მორიგი დაბომბვით უპასუხეს. დაიბომბა ქალაქები ოდესა, ხერსონი, ნიკოლაევი, კიევი, დნეპრი, ნიკოპოლი. პუტინის თანაშემწის პესკოვის სიტყვებით, ესაა შურისძიება ყირიმის ხიდის აფეთქებისათვის. მან დაიწყო მტკიცება, რომ ტერორისტების ბაზებს გაანადგურებს.

– სინამდვილეში დაინგრა საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფოები, სკოლები, – იტყობინება „რბკ უკრაინა“.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ზივზივაძე დღეს „ლივერპულთან“ არ ითამაშებს და გეზი სამხრეთ კორეისკენ აქვს აღებული

ბუდუ ზივზივაძის „კარლსრუე“ დღეს ამხანაგურ შეხვედრაში „ლივერპულს“ დაუპირისპირდება, თუმცა ქართველი ფეხბურთელი თავისი გუნდის განაცხადში არაა.




მიზეზი მარტივია, ჩვენებური ტრანსფერზეა დაყენებული და რეალური მსურველიც ჰყავს.

29 წლის ფორვარდის სამსახურით სამხრეთ კორეის „ჩონბუკია“ დაინტერესებული, რომელიც მიმდინარე K ლიგაში 24 ტურის შემდეგ მე-4 ადგილზე იმყოფება.

მოგეხსენებათ, ეს ის კლუბია, სადაც შარშან თორნიკე ოქრიაშვილი უნდა გადასულიყო. რაც შეეხება ზივზივაძეს, ის ზამთარში მივიდა „კარლსრუეში“, 10 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ერთი გოლი გაიტანა.

შეგახსენებთ, რომ სამხრეთ კორეის ჩემპიონატში ვაკო ყაზაიშვილი და ბექა მიქელთაძეც ასპარეზობენ.

# ნოიერი ჯერ ვერ დაბრუნდება, სომერი წავიდა




გერმანული პრესის ინფორმაციით, „ბაიერნის“ მეკარე მანუელ ნოიერის აღდგენითი პროცესი იმაზე ცუდად მიმდინარეობს, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

აქამდეც ცნობილი იყო, რომ ვეტერანი კიპერი მოსამზადებელ ეტაპსა და ამხანაგურ მატჩებს გამოტოვებდა, მაგრამ საქმე გაცილებით სერიოზულადაა.

„რეკორდმაისტერის“ მეკარე გერმანიის სუპერთასის შეხვედრასა და ბუნდესლიგის პირველი ტურის შეხვედრას 18 აგვისტოს „ვერდერთან“ გასვლაზეც უეჭველად გამოტოვებს.

ჯერ კიდევ უცნობია, შეეძლება თუ არა მას შემდეგ შეხვედრებში ასპარეზობა. აქვე გეტყვით, რომ „ალიანს არენიდან“ მეორე კიპერის, იან სომერის წასვლა გადაწყდა. „ინტერიდან“ ანდრე ონანამ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მიაშურა, შვეიცარიელი კი უახლოეს დღეებში ჩაფრინდება მილანში და კამერუნელის შემცვლელადაც წარადგენენ.

„ბაიერნიდან“ მიდის კიდევ ერთი კარის დარაჯი ალექსანდერ ნიუბელი. მიუნხენურ გრანდში კი მისვლის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი გიორგი მამარდაშვილი გახლავთ, რომელიც ნოიერის გამოჯანმრთელებამდე ძირითადის კიპერი იქნება, შემდეგ კი გამოცდილი კოლეგა დაბრუნდება და მასთან დიდ კონკურენციაში პირველი ნომრობისთვის მოუწევს ბრძოლა.

# „ქართველები ფეხბურთს სიამოვნებისთვის თამაშობენ, რუსებისა და უკრაინელებისგან განსხვავებით...“

ვეტერანმა ყაზახმა ფეხბურთელმა იუსუფ შედიევმა თბილისის „დინამოსა“ და ქართველ ფეხბურთელებზე ისაუბრა.

მისი თქმით, ჩვენს ქვეყანაში სპორტის ეს სახეობა ძალიან უყვართ და მოთამაშეთა უმეტესობას, ყაზახებისგან განსხვავებით, კარიერის საზღვარგარეთ გაგრძელება სურს:

– ქართველი ფეხბურთელებისთვის ევროთასები პოტენციური სატრანსფერო ბაზარია. ამიტომ ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ კარგად ითამაშონ.

ყაზახი ფეხბურთელები, ძირითადად, სამშობლოში ასპარეზობენ, ქართველები – პირიქით. საქართველოში ბევრს არ უხდიან, ამიტომ საზღვარგარეთ წასვლა უნდათ.



მაგრამ ქართველები მაინც ქართველები არიან, ისინი ფეხბურთს საკუთარი სიამოვნებისთვის თამაშობენ, განსხვავებით რუსებისგან ან უკრაინელებისგან, რომლებიც უფრო მეტი დისციპლინით გამოირჩევიან. ქართველებს ბავშვობიდან უყვართ

ფეხბურთი, – ციტირებს შედიევს Sport.kz.

შეგახსენებთ, რომ „დინამოსა“ და „ასტანას“ დღევანდელი დაპირისპირება 20:00 საათზე დაიწყება.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. კვერცხის გულით, წებოთი და ზეთის ხსნარით შეზავებული სახატავი საღებავი; 2. ჭადრაკის პარტიის დაბოლოება; 3. ქართველი თეატრალური მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 4. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 5. კაცთმოძულე ადამიანი; 10. დამჟავებული ბოსტნეული; 11. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 12. შავი ზღვის ზვიგენი; 13. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 16. ქალისადმი მიძღვნილი პატარა ლირიკული ლექსი ძველად ევროპაში; 17. ფინური ხალხური ეპოსი; 19. სოფლის მეურნეობის სპეციალისტი; 21. იაპონური მოტოციკლეტი; 23. რაიმეს სია, ჩამონათვალი.

**თარაზულად:** 6. ნაღვლიანი, სევდიანი განწყობილება; 7. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 8. შთამომავლის, ნათესავის ძველი ქართული სახელწოდება; 14. შექსპირის ნაწარმოებთა ქართულად მთარგმნელი; 15. გაეროს გენერალური მდივანი; 18. ტყის მსხალი; 20. ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონთა კრებული; 22. უნგრული არმიის ძველი სახელწოდება; 24. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 25. ბულვარული ჟურნალ-გაზეთების სახელწოდება აშშ-ში; 26. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. დონბასი; 2. ცოლიკაური; 3. რეცენზია; 4. სლალომი; 5. ბაიერი; 9. სპაზმი; 11. ჩარტერი; 12. ჭილაძე; 14. კეპლერი; 18. ილორი; 19. ღალღა.

**თარაზულად:** 4. სულორი; 5. ბანოვანი; 6. კენზო; 7. ტარაბუა; 8. გინესი; 10. ქერჩი; 13. საკურა; 15. არმანი; 16. იუტა; 17. დოლი; 20. ლიკანი; 21. მეტეხი; 22. მერკური; 23. ღვინიო.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ფლუგერი; 2. პალესტრა; 3. პრიმადონა; 4. ვატმანი; 5. კალათბურთი; 10. გულაბი; 11. ფანდანგო; 12. ბოქსიტი; 13. ბლოხინი; 13. კურლანდია; 17. ხაბელოვი; 19. არტემიდა; 21. როყიო; 23. დაისი.

**თარაზულად:** 6. ალადასტური; 7. ბაიდარა; 8. ტეხასი; 9. დაბახანა; 14. ღლიღვები; 15. ბაქტრიანი; 18. გოგრა; 20. კაიზერი; 22. ვედრება; 24. ...... 25. ადორაცია; 26. პასივი.

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

20 ივლისი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.5692 |
| ევრო | 2.8819 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 3.3204 |
| 100 რუსული რუბლი | 2.8211 |

**ამინდის პროგნოზი 20 ივლისისთვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბუფონმა შესაძლოა საფეხბურთო კარიერა დაასრულოს



ლეგენდარულმა იტალიელმა მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა შესაძლოა საფეხბურთო კარიერა დაასრულოს, რადგან ის თვლის, რომ მისი ორგანიზმი მას თამაშის საშუალებას აღარ აძლევს.

შეგახსენებთ, რომ ბუფონი 45 წლის არის და ეს ფეხბურთისთვის თითქმის წარმოუდგენელი ასაკია. ბუფონმა კარიერის დიდი ნაწილი იუვენტუსში გაატარა, თუმცა მისი კარიერა პარმაში დაიწყო და დიდი ალბათობით, ის სწორედ ამ გუნდში დაასრულებს თავის შესანიშნავ კარიერას.

## კვარაცხელიამ ნაპოლიში ვარჯიში განაახლა

ხვიჩა კვარაცხელია ნეაპოლში დაბრუნდა და მან უკვე ივარჯიშა გუნდთან ერთად. ნაპოლის გულშემატკივარი ხვიჩას თბილად შეხვდა და მათ ქართველი ფეხბურთელის დაბრუნება გაუხარდათ.



კვარაცხელიას გარდა, ნაპოლის სხვა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებიც შეუერთდნენ. აღსანიშნავია, რომ ვარჯიში ვიქტორ ოსიმენმაც განაახლა, თუმცა ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, დარჩენა თუ არა ის გუნდში.

## კიმ მინ ჯე ოფიციალურად ბაიერნის ფეხბურთელია

ნაპოლის უკვე ყოფილი ცენტრალური მცველი კიმ მინ ჯე უკვე ოფიციალურად მიუნხენის ბაიერნის ფეხბურთელია. მან წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება და მალე გუნდთან ერთად ვარჯიშსაც დაიწყებს.



კიმ მინ ჯე-მ ბაიერნთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და მიუნხენურმა გუნდმა ამ ტრანსფერში 50 მილიონი გადაიხადა. კორეელმა მცველმა აღნიშნა, რომ მას სურს, ბაიერნთან ერთად ჩემპიონთა ლიგა და სხვა ტიტულები მოიგოს.

მოამზადა
ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი

დედა შვილს ეუბნება:
– წადი, ვიოლინოზე დაკვრაში იმეცადინე.
– კარგი, რა, დედა, დღეს მამამ ერთხელ უკვე მცემა.

•••

მოსამართლე ქალს ეკითხება:
– რატომ შორდებით მეუღლეს?
– ქმართან ჩხუბის ყველა მიზეზი ამოვწურე.

•••

კაცი ქალს ეკითხება:
– ამ საღამოს ხომ არ შევხვდეთ?
– სამსახურში ისე ვიღლები, რომ დღის ბოლოს ერთადერთი სურვილი მაქვს, საწოლამდე მივაღწიო.
– ჰოდა, შევთანხმდით, იქ შევხვდეთ...

•••

ქალაქის რადიოში აცხადებენ:
– კერძო ზოოპარკიდან გაიქცა ენოტი. ყველამ, ვინც ნახა ცხოველი, ზოოპარკის მფლობელს 10 ლარი გადაუხადოს.

•••

ვატსონი ჰოლმს ეკითხება:
– ცოლი რატომ არ მოგყავთ?
– ეს უამრავ პრობლემასთან არის დაკავშირებული.
– მაინც, რა პრობლემაა?
– აი, მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ სახლში სავარძელში ზიხართ, ისვენებთ, გაზეთს კითხულობთ. უცბად, შემოსასვლელ კართან ისმის ცოლის ხმა, ხოლო მეორე შემოსასვლელ კართან – თქვენი ძაღლის ყეფა. პირველს რომელს შემოუშვებთ სახლში?
– ალბათ, რომელიც უფრო ხმამაღლა ყვირის...
– ძაღლი უნდა შეუშვათ, ვატსონ.
– კი მაგრამ, რატომ?
– მაშინვე ყეფას შეწყვეტს.

•••

საკუთარ შეცდომებზე სიცილმა შესაძლოა სიცოცხლე გაგიხანგრძლივოთ, ხოლო ცოლის შეცდომებზე სიცილმა, პირიქით, შეგიმოკლოთ!

•••

ტელეფონი რეკავს. ქალის ხმა კითხულობს:
– ალო! შენ ხარ?
– მე ვარ!
– აღიარე, მოგენატრე?
– კი, ძალიან! და რომელი ხარ?

•••

კაცი ქალს ეუბნება:
– ბედნიერი ვარ თქვენი გაცნობით.
– ასეთი ნაადრევი დასკვნების გამოტანას არ გირჩევდით!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## მატილდა გვარლიანი ესპანური „ვოგის" ყდაზე დაბეჭდეს



ქართველი მოდელი მატილდა გვარლიანი მსოფლიო მოდის ბიზნესში სულ უფრო პოპულარული ხდება.

ლამაზმანი ესპანური „ვოგის" ახალ ნომერში გამოჩნდა. მან ფოტოგრაფ ხავიერ რუიზის ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. ფოტოსესიას სახელად „სახლში დაბრუნება" ეწოდა, რაც ივლისის ნომრის ერთ-ერთი მთავარი თემატიკაა.

## პაატა გულიაშვილი დააჯილდოვეს



რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობი და თელავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი პაატა გულიაშვილი დააჯილდოვეს. მას ჯილდო ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე სარეჟისორო დებიუტისთვის გადაეცა:

ინფორმაცია რუსთაველის თეატრმა გაავრცელა:

– რუსთაველის ეროვნული თეატრი ულოცავს პაატა გულიაშვილს ნოდარ დუმბაძის მეოთხე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის სპეციალურ პრიზს სარეჟისორო დებიუტისთვის! თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლისთვის „ჩუმად, რეპეტიციაა!" – რეჟისორი პაატა გულიაშვილი.

## კავკასიძეების ციხის ეკლესია წყალმა დაფარა



ტაოში მდებარე კავკასიძეების ციხის ეკლესია ჩაიძირა. ფოტოები და ვიდეო ისტორიკოსმა ბუბა კუდავამ ინტერნეტში გაავრცელა:

– მწუხარება თუ ასე სასწაულად ლამაზი იქნებოდა, ვერასოდეს წარმოვიდგენდი.

თავი სიზმარში მეგონა და გამოღვიძება არ მინდოდა.

არ ვიცი, სიტყვებით როგორ უნდა გადმოვცე, რასაც ამ მწვანედ განათებულ ტაძარში ლივლივისას ვგრძნობდი.

კარი აღარაა და მხოლოდ სარკმლებიანია ეკლესია. და ტაძარშიც სარკმლიდან შეცურდები.

ცურვა ეკლესიაში, ღმერთო ჩემო!

დიდი ტკივილი და დიდი სიხარული ერთად. საოცრება, თუ რამ მინახავს წუთისოფელში, ეს იყო. იქნებ დროდადრო, ზამთრობით, წყალმცირობისას გამოჩნდეს ხოლმე.

ტაძარმა იქნებ კვლავ გაძლოს. მხატვრობავ და წარწერებო – მშვიდობით.

მშვიდობით. ტაო, კავკასიძეების ციხის ეკლესია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ბუბა კიკაბიძე 85 წლის გახდებოდა



მომღერალი და მსახიობი ბუბა კიკაბიძე 85 წლის გახდებოდა. ეს არის ხელოვანის პირველი დაბადების დღე, რომელსაც უახლოესი ადამიანები მის გარეშე აღნიშნავენ.

„არ იდარდო, ბუბა!" – ამ სახელწოდებით მიუძღვნა წერილი ხელოვანს კინომცოდნე გოგი გვახარიამ:

– ტონინო გუერა წერდა, რომ გია დანელიას ფილმებს ყვავილების სუნი ასდის და რომ მას შეუძლია „ქართული მტვერიც" კი ელეგანტურად წარმოგვიდგინოს. ვფიქრობ, ფელინის, ანტონიონის, როზის, ანგელოპულოსის სცენარისტი „არ დაიდარდოს" გულისხმობდა – ვიზუალური თვალსაზრისით დანელიას გამორჩეულ ფილმს. თუმცა მხოლოდ იმიტომ არა, რომ მასში ბევრი მზე და ჰაერია. ელეგანტურობით ამ ფილმის ყველა სახეა გაჟღენთილი. არომატი კი, რომელიც ეკრანიდან იფრქვევა, გათრობს და გაბედნიერებს. არსებითად, „არ დაიდარდო" თავიდან ბოლომდე სევდიანი ლხინია, დაახლოებით ისეთი, როგორსაც ომარ ხაიამი აღწერს – „ეს გული სევდით და ნაღველით ჭკნება და დნება, მაშ, მოილხინე, სანამ ლხინის გეძლევა ნება". ფილმის ცენტრალური ეპიზოდი, სერგო ზაქარიაძის გმირის, მოხუცი ლევანის გამოსამშვიდობებელი „ქელეხი", შესაძლებელია, ერთ-ერთი საუკეთესოა არა მარტო დანელიას, არამედ მთლიანად ქართული კინოს ისტორიაში. იშვიათია ჟანრების ასეთი მთლიანობა, განწყობათა ასეთი სისავსე, განსაკუთრებით, სცენის ფინალში, როცა თრობა სრულდება და რეალობა, მთელი თავისი სისასტიკით, თავისი უსამართლობით, ხელახლა გამოეცხადება ლევანს. ხომ გახსოვთ, რას აკეთებს სერგო ზაქარიაძის გმირი? მოქეიფეებს ზურგს შეაქცევს, ატირდება და ფანჯარასთან მიდის. მის მოძრაობას თვალს ადევნებს ახალგაზრდა კოლეგა ბენჟამენ ღლონტი – ერთი შეხედვით, თავქარიანი კაცი, რომელიც მაინცდამაინც ვერ ერკვევა ყოფითი ცხოვრების წესებში, მაგრამ სამართლიანობის და მეგობრობის ფასი კარგად იცის. ბენჟამენი გალობას იწყებს – „შენ ხარ ვენახი" ჯერ სუფრას მოეფინება, შემდეგ კი სწორედ იმ „მტვრიან" პეიზაჟებს, რომლებსაც ყვავილის სუნი ასდით და, რომელსაც საქართველო ჰქვია. ასე გადაიქცევა ბუბა

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. სამონასტრო კომპლექსი ყვარლის რაიონში; 2. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 3. ისტორიული ციხე-ქალაქი სამცხე-ჯავახეთში; 4. ჭაობის მწერიჭამია მცენარე; 5. ნიადაგის დასამუშავებელი აგრეგატი; 9. ერთგვარი ცხვრის ყველი; 11. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 12. ხორვატიის კალათბურთელთა გუნდი; 14. საპრივატიზაციო ფასიანი ქაღალდი; 18. ტროპიკული მცენარე, რომელიც მხოლოდ ერთხელ ყვავის; 19. ფრანგი ექიმი, ნევროპათოლოგიისა და ფსიქოთერაპიის ფუძემდებელი.

**თარაზულად:** 4. აეროპორტი ნიუ იორკში; 5. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 6. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 7. ცნობილი ბაზარი ბარსელონაში; 8. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 10. ფილოსოფიური მოძღვრება ზნეობისა და მორალის შესახებ; 13. ტბა სომხეთში; 15. მწვანით მოსილი წყლიანი ადგილი უდაბნოში; 16. იაპონური ბრინჯის არაყი; 17. ყურძნის არაყი; 20. ქართველი მეან-გინეკოლოგი, აკადემიკოსი; 21. სწორკუთხა სამკუთხედის ერთ-ერთი გვერდი; 22. ძველებური ქართული ქალ-ვაჟის ცეკვა; 23. ცხენის ან აქლემის რძისგან მომზადებული სასმელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა